

სს “გუდვილი“

ფინანსური და მმართველობის ანგარიშგება
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	1
მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1.კორპორატიული ინფორმაცია	5
2.მომზადების საფუძველი	5
3.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	8
4.მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას	19
5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული	21
6.ძირითადი საშუალებები	23
7.გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები	24
8.სასაქონლო მატერიალური მარაგები	25
9.სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	25
10.გაცემული ავანსები	26
11.ფული და ფულის ექვივალენტები	27
12.კაპიტალი	27
13.რეაბილიტაციის ვალდებულება	27
14.საიჯარო ვალდებულებები	28
15.საგადასახადო ვალდებულებები	29
16.მიღებული სესხები	30
17.სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	30
18.შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	31
19.საცალო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის თვითღირებულება	32
20.რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	32
21.საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	32
22.სხვა საოპერაციო შემოსავალი	33
23.სხვა საოპერაციო ხარჯი	33
24.პირობითი ვალდებულებები	33
25.ფინანსური რისკების მართვა	33
26.ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება	38
27.არაფულადი ოპერაციები	38
28.ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	38
29.ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება	38
30.საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	38

მმართველობის ანგარიშგება

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ	41
2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები	42
3. სუბიექტის განვითარების გეგმები	43
4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა	43
5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ	43
6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები	43
7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები	44

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს „გუდვილი“-ს სამეთვალყურეო საბჭოს და აქციონერებს

პირობითი მოსაზრება

ჩვენი აზრით, ჩვენი დასკვნის „პირობითი მოსაზრების საფუძველი“ ნაწილში აღწერილი საკითხის ეფექტის გარდა, წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ასევე მოგება ან ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის, კაპიტალში ცვლილებებისა და ფულადი ნაკადების მოძრაობის შედეგებს 2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული საანგარიშგებო წლისათვის, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების ელემენტები რისი აუდიტიც ჩავატარეთ:

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით;
- მოგებისა და ზარალის და სრული შემოსავლის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის;
- საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის;
- ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებას იმ საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2019 წლის 31 დეკემბრის; და
- ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

პირობითი მოსაზრების საფუძველი

2016 წლის 30 დეკემბრის, სს „გუდვილმა“ უკან გამოიყიდა 2013 წელს უზრუნველყოფილი მსესხებლის მიერ დასაკუთრებული ძირითადი საშუალებები, შესყიდვის ღირებულებამ შეადგინა 1,234,345 ლარი. აღნიშნულ ძირითად საშუალებებზე არ ჩატარებულა ინვენტარიზაცია, ჯამური ღირებულების გადანაწილება და ინდივიდუალურად განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადებით ცვეთის დარიცხვა. გადმოცემული ძირითადი საშუალებები ასახულია ჯამურად და ცვეთა დარიცხულია ერთიანი სასარგებლო მომსახურების ვადით. გადმოცემული ძირითადი საშუალებების მოცულობიდან და სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით განგვესაზღვრა, საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ამ ძირითადი საშუალებების ისტორიულ ღირებულებასთან და დარიცხულ ცვეთასთან მიმართებაში.

ამასთან ერთად, ძირითადი საშუალებების და სააღრიცხვო ჩანაწერების სპეციფიკიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ შევძელით შერჩევითი შემოწმებით დაგვედასტურებინა მანქანა-დანადგარების, მაღაზიის ავეჯისა და სხვა ინვენტარის და სხვა აქტივების ჯგუფებში კლასიფიცირებული ძირითადი საშუალებების რაოდენობრივი სისწორე, რადგან შიდა კონტროლის სისტემა ვერ უზრუნველყოფს კონკრეტული ძირითადი საშუალების ერთეულის მიკვლევადას. შესაბამისად, ვერ განვსაზღვრეთ საჭირო იყო თუ არა რაიმე კორექტირების შეტანა ამ ჯგუფებში წარდგენილ ძირითად საშუალებებთან მიმართებაში.

აუდიტი ჩავატარეთ „აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების“ (ასს-ები) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით გათვალისწინებული ჩვენი პასუხისმგებლობები დამატებით აღწერილია წინამდებარე ანგარიშში: აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე. ჩვენ ვართ კომპანიისგან დამოუკიდებლები, როგორც ამას ითვალისწინებს ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ შემუშავებული კოდექსი

პროფესიონალი ბუღალტრებისათვის (IESBA-ის კოდექსი). შევასრულეთ IESBA-ს კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც.

მიგვაჩნია, რომ ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარის და შესაფერის საფუძველს წარმოადგენს პირობითი მოსაზრების გამოსახატად.

ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვსურს თქვენი ყურადღება შევაჩეროთ ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაზე (მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები), სადაც მოცემულია მენეჯმენტის პოზიცია საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის გამოყენებასთან დაკავშირებით. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები მთლიან აქტივებს აჭარბებს 26,574 ათასი ლარით. ამავე დროს კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ქონდა ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანება 5,938 ათასი ლარის ოდენობით. კომპანია იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით განსაზღვრული ქონდა 20,161 ათასი ლარის ვალდებულების დაფარვის გრძელვადიანი გრაფიკი, რისი დროული გადახდაც დამოკიდებულია კომპანიის გრძელვადიანი ფინანსური გეგმის შესრულებაზე. 2020 წელს ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე პერიოდში კომპანიამ მიმართა სასამართლოს რეაბილიტაციის ვალდებულების დაფარვის გრაფიკის ცვლილებაზე პანდემიიდან გამოწვეული ნეგატიური შედეგების საპასუხოდ. შედეგად, 2020 წლის პირველი კვარტლის გადახდების შემდეგ, დროებით (2021 წლამდე, იხილეთ 30-ე შენიშვნა) შეჩერდა რეაბილიტაციის ვალდებულებების გადახდა. ეს მოვლენები და პირობები, სხვა საკითხებთან ერთად, მიუთითებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, კომპანიის უნართან განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებდამა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ამ საკითხთან მიმართებით.

სხვა ინფორმაცია

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია სხვა ინფორმაციის მომზადებაზე. სხვა ინფორმაცია (წარმოდგენილი 40-45 გვერდებზე) მოიცავს მმართველობის ანგარიშგებას (საქმიანობის მიმოხილვას), მაგრამ არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშგებას და ჩვენს მიერ მასზე გაცემულ აუდიტორის დასკვნას.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავეცნოთ, მმართველობის ანგარიშგებას და განვიხილოთ, არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ამასთან, „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოგვეთხოვება მოსაზრების გამოთქმა იმის თაობაზე, „მმართველობის ანგარიშგების“ გარკვეული ნაწილები შეესაბამება თუ არა შესაფერის მარეგულირებელ-ნორმატიულ აქტებს და აგრეთვე იმის დადგენა, „მმართველობის ანგარიშგება“ შეიცავს თუ არა ინფორმაციას, რომელიც მოითხოვება „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ ჩატარებული სამუშაოს საფუძველზე დავასკვნით, რომ მმართველობის ანგარიშგება არსებით უზუსტობას შეიცავს, მოგვეთხოვება ამ ფაქტის ანგარიშგება. არ აღმოგვიჩენია რაიმე საკითხი, რომლის შესახებაც აუცილებელი იქნებოდა ინფორმირება.

აუდიტის მსვლელობისას შესრულებული სამუშაოს შესაბამისად, ჩვენი აზრით, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით:

- მმართველობის ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია იმ საანგარიშგები წლის შესახებ, რომლის ფინანსური ანგარიშგებაც წარმოდგენილია, მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების თანმიმდევრულად; და

- მმართველობის ანგარიშგება მოიცავს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონით მოთხოვნილ ინფორმაციას და შესაბამისობაშია შესაფერის მარეგულირებელ ნორმებთან.

ხელმძღვანელობისა და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელი პირების პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კომპანიის ხელმძღვანელობა ვალდებულია ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას შეაფასოს, შეუძლია თუ არა კომპანიას განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და საჭიროების შემთხვევაში, პასუხისმგებელია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და აღრიცხვის საფუძველად ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენებასთან დაკავშირებული საკითხების გამჭვირვაებაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან ოპერაციების შეწყვეტა, ან მას არა აქვს აღნიშნულის განხორციელების გარდა სხვა რეალური ალტერნატივა.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, ფინანსური ანგარიშგება მთლიანობაში შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის ანგარიში, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით, ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენენ იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას დაეყრდნობიან.

ასს-ს შესაბამისი აუდიტის მსვლელობისას, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს. ამასთან ჩვენ:

- ვახდენთ ფინანსურ ანგარიშგებაში თაღლითობის ან შეცდომის შედეგად არსებითი უზუსტობების დაშვების რისკების იდენტიფიცირებას და მათ შეფასებას, ამ რისკების შესაბამისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და განხორციელებას და ისეთი აუდიტორული მტკიცებულებების მოპოვებას, რომლებიც საკმარისი და შესაბამისია ჩვენი დასკვნის საფუძვლის შესაქმნელად. თაღლითობის შედეგად წარმოშობილი არსებითი უზუსტობების არგამოვლენის რისკი უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით გამოწვეული არსებითი უზუსტობის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს უკანონო ფარულ გარიგებებს, გაყალბებებს, ინფორმაციის განზრახ გამოტოვებას, დამახინჯებას ან შიდა კონტროლის მექანიზმების უგულვებელყოფას;
- ვსწავლობთ აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის მექანიზმებს, რათა დავეგეგმოთ გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტურობაზე;
- ვაფასებთ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკების შესაბამისობას და ხელმძღვანელობის მიერ მომზადებული სააღრიცხვო შეფასებების და განმარტებითი შენიშვნების გონივრულობას;
- გამოვავქვს დასკვნა ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებულ საქმიანობის უწყვეტობის დაშვების მიზანშეწონილობაზე, ასევე მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებების საფუძველზე ვასკვნით, აქვს თუ არა ადგილი არსებით უზუსტობებს ისეთ მოვლენებსა და ვითარებებთან მიმართებაში, რომლებმაც შესაძლოა ექვის ქვეშ დააყენოს კომპანიის საქმიანობის უწყვეტობის უნარი. თუ ჩვენ დავასკვნით, რომ ადგილი აქვს არსებით განუსაზღვრელობას, მოგვეთხოვება, რომ აუდიტორთა დასკვნაში ყურადღება გავამახვილოთ ფინანსურ

ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვალეობით დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

11 დეკემბერი, 2020

თბილისი, საქართველო.



ანგარიშგებაში შესაბამის ახსნა-განმარტებით შენიშვნაზე ან, ამგვარი ახსნა-განმარტებითი შენიშვნის არაადეკვატურობის შემთხვევაში, მოვახდინოთ დასკვნის მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეფუძნება ჩვენ მიერ აუდიტორთა დასკვნის გაცემის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებს. ამასთან, მომავალში წარმოშობილმა მოვლენებმა და შექმნილმა ვითარებებმა შესაძლოა გამოიწვიოს კომპანიის, როგორც უწყვეტი საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტა;

- ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურას და შინაარსს, მათ შორის განმარტებით შენიშვნებს და ასევე იმას, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას;

სხვა საკითხებთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს დაგეგმილი აუდიტის მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტორული შემოწმებით გამოვლენილი მნიშვნელოვანი ფაქტების შესახებ, მათ შორის აუდიტორის მიერ გამოვლენილი შიდა კონტროლის ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანების შესახებ.

შპს „ეკოვის ეი-თი-ეი ფინანსები“-ს სახელით (რეგ #SARAS-F-344896)

ივანე კუტიბაშვილი (რეგ #SARAS-A-629166)

11 დეკემბერი, 2020

თბილისი, საქართველო.

სს "გუდვილი"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	5,235	4,998
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები	7	31,423	-
არამატერიალური აქტივები		47	26
სულ გრძელვადიანი აქტივები		36,705	5,024
მიმდინარე აქტივები			
აქტივების დაბრუნების უფლება	18	37	37
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	13,704	13,951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,357	1,388
გაცემული ავანსები	10	1,121	1,368
ფული და ფულის ექვივალენტები	11	2,633	2,805
სულ მიმდინარე აქტივები		19,852	19,549
სულ აქტივები		56,557	24,573
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	5,680	5,680
დაუფარავი ზარალი	12	(32,254)	(29,691)
სულ კაპიტალი		(26,574)	(24,011)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
რეაბილიტაციის ვალდებულებები	13	18,161	19,695
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	767
საიჯარო ვალდებულებები	14	27,357	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		45,518	20,462
მიმდინარე ვალდებულებები			
რეაბილიტაციის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	13	2,000	2,763
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი		-	574
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	14	8,099	-
საგადასახადო ვალდებულებები	15	163	9
სესხის მიმდინარე ნაწილი	16	-	263
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	25,897	22,980
დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	18	48	48
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18	1,406	1,485
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,613	28,122
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		56,557	24,573

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს:

გიორგი ნაბაშვილი
დირექტორი



5-39 გვერდებზე არსებულ ნაწილებზე წარმოდგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

სს “გუდვილი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	6	5,235	4,998
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები	7	31,423	-
არამატერიალური აქტივები		47	26
სულ გრძელვადიანი აქტივები		36,705	5,024
მიმდინარე აქტივები			
აქტივების დაბრუნების უფლება	18	37	37
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	13,704	13,951
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	9	2,357	1,388
გაცემული ავანსები	10	1,121	1,368
ფული და ფულის ექვივალენტები	11	2,633	2,805
სულ მიმდინარე აქტივები		19,852	19,549
სულ აქტივები		56,557	24,573
კაპიტალი და ვალდებულებები			
კაპიტალი			
სააქციო კაპიტალი	12	5,680	5,680
დაუფარავი ზარალი	12	(32,254)	(29,691)
სულ კაპიტალი		(26,574)	(24,011)
გრძელვადიანი ვალდებულებები			
რეაბილიტაციის ვალდებულებები	13	18,161	19,695
ფინანსური იჯარის ვალდებულებები		-	767
საიჯარო ვალდებულებები	14	27,357	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		45,518	20,462
რეაბილიტაციის ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	13	2,000	2,763
ფინანსური იჯარის მიმდინარე ნაწილი		-	574
საიჯარო ვალდებულების მიმდინარე ნაწილი	14	8,099	-
საგადასახადო ვალდებულებები	15	163	9
სესხის მიმდინარე ნაწილი	16	-	263
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17	25,897	22,980
დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულება	18	48	48
სახელშეკრულებო ვალდებულებები	18	1,406	1,485
სულ მიმდინარე ვალდებულებები		37,613	28,122
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		56,557	24,573

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს:

გიორგი ხაბაშვილი
დირექტორი

სს “გუდვილი“

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან	18	143,500	128,049
საცალო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის თვითღირებულება	19	(110,619)	(99,422)
საერთო მოგება		32,881	28,627
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	20	(20,027)	(19,563)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	21	(8,433)	(7,992)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	22	1,936	1,638
სხვა საოპერაციო ხარჯი	23	(1,433)	(514)
საოპერაციო მოგება		4,924	2,196
ფინანსური ხარჯი	14	(4,914)	(286)
საკურსო სხვაობა		(2,573)	(45)
მოგება/(ზარალი) დაბეგვრამდე		(2,563)	1,865
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის სრული მოგება/(ზარალი)		(2,563)	1,865

სს “გუდვილი“

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	სააქციო კაპიტალი	დაუფარავი ზარალი	სულ
31 დეკემბერი 2017	5,680	(31,556)	(25,876)
საანგარიშგებო წლის სრული შემოსავალი	-	1,865	1,865
31 დეკემბერი 2018	5,680	(29,691)	(24,011)
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(2,563)	(2,563)
31 დეკემბერი 2019	5,680	(32,254)	(26,574)

სს “გუდვილი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2019	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
წლის სრული მოგება/(ზარალი)	(2,563)	1,865
შესწორებები:		
ცვეთა და ამორიზაცია	5,030	922
ფინანსური ხარჯი	4,914	286
საკურსო სხვაობა	2,385	-
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები აქტივებსა და ვალდებულებებში მომხდარ ცვლილებებამდე შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:	9,766	3,073
ცვლილებები საქონელში	247	(603)
ცვლილებები სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში	(1,048)	498
ცვლილებები წინასწარ გადახდილ თანხებში	247	230
ცვლილებები საგადასახადო აქტივებში	154	490
ზრდა/(შემცირება) საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	2,917	1,598
ცვლილება მიღებულ ავანსებში	(79)	172
საოპერაციო საქმიანობიდან შემოსული ფულადი ნაკადები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	12,204	5,458
გადახდილი პროცენტი	(4,914)	(350)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	7,290	5,108
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(3,247)	(1,218)
ძირითადი საშუალების გაყიდვა	532	-
მიღებული პროცენტი	-	54
წმინდა ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,715)	(1,164)
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან		
ფინანსური იჯარა	(2,241)	(334)
რეაბილიტაციის ვალის დაფარვა	(2,297)	(4,712)
აღებული/(დაფარული) სესხი	(263)	(466)
წმინდა ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობაზე	(4,801)	(5,512)
ნეტო ზრდა/(შემცირება) ფულის ან ფულადი ექვივალენტების	(226)	(1,568)
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის დასაწყისში	2,805	4,335
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად ნაკადებზე	54	38
ფული და ფულის ექვივალენტები პერიოდის ბოლოს	2,633	2,805

1. კორპორატიული ინფორმაცია

სს გუდვილი (შემდგომში კომპანია) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაარსებულია საქართველოში 2009 წელს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის საიდენტიფიკაციო ნომერია 206343991.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ჰიპერმარკეტების და სუპერმარკეტების ფუნქციონირება საქართველოს მასშტაბით. კომპანია თავის მომხმარებელს ასევე სთავაზობს საკუთარი წარმოების მზა კერძებს და საკონდიტრო ნაწარმს. კომპანიას ასევე აქვს ქეითერინგული მომსახურება და ონლაინ მაღაზია.

2019 წლის განმავლობაში სულ ფუნქციონირებდა 5 ჰიპერმარკეტი, და 3 სუპერმარკეტი საერთო სავაჭრო ფართობით 36,079 კვ.მ. ჰიპერმარკეტად განიხილება მაღაზია, რომლის სავაჭრო ფართი აღემატება 1,000 კვადრატულ მეტრს. საქართველოს მასშტაბით ჰიპერმარკეტები და სუპერმარკეტები წარმოდგენილია შემდეგი ლოკაციებით: თბილისში 5 ობიექტი, 2 ობიექტი ბათუმში და ერთი გორის ავტომაგისტრალზე. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანიამ გახსნა მე-9 ფილიალი, მცირე ზომის მარკეტი - „გუდვილი გურმე“, რომელიც მიზნად ისახავს მომხმარებელს სახლთან ახლოს შესთავაზოს ხარისხიანი პროდუქცია.

კრედიტორების მოთხოვნითა და სასამართლოს განჩინებით, კომპანია იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში. აღნიშნული რეჟიმი იმართება სასამართლოს მიერ დანიშნული მმართველით, რომელიც კომპანიის დირექტორთან ერთად ზედამხედველობს რეაბილიტაციის გეგმით დაკისრებული ვალდებულებების შესრულებას. ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია საქმიანობის იმგვარად წარმართვაზე, რომ უზრუნველყოს რეაბილიტაციის გეგმით განსაზღვრული სახდელების დროული გასტუმრება. რეაბილიტაციის რეჟიმის დაგეგმილი დასრულების ვადაა 2025 წელი.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. კომპანიის იურიდიული მისამართია ქ. თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ილია ჭავჭავაძის გამზირი №9.

კომპანიის მეწილეები და ინვესტიციები: დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-12 შენიშვნაში. სს „გუდვილი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა საწარმოებში.

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გარდა ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებისა, სადაც გამოყენებულია შესაბამისი რეალური ღირებულება. ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და ღირებულებები დამრგვალებულია ათასებამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე, 12 თვიან, პერიოდს.

განცხადება შესაბამისობაზე. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების კომიტეტის (ბასსკ) მიერ გამოშვებული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების, ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტებისა და ინტერპრეტაციების (მთლიანად ფასს-ების) შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგება ასევე შესაბამისობაშია საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომელიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე. ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძვლის მიზანშეწონილობის შეფასებისას, კომპანია ითვალისწინებს ფულადი ნაკადების საპროგნოზო მონაცემებს, მათ შორის პესიმისტურს და რეალისტურს და მათზე დაყრდნობით ამზადებს ამ ანგარიშს ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპების მიხედვით. როგორც ეს განმარტებულია 30-ე შენიშვნაში კომპანიის საქმიანობა არ შეჩერებულა კორონა ვირუსის Covid 19-ის გამო დაწესებული შეზღუდვებით, მენეჯმენტმა მიმოიხილა ეკონომიკაზე გლობალური პანდემიის ნეგატიური გავლენის ეფექტი, განაახლა საპროგნოზო მონაცემები და საქმიანობის უწყვეტობაზე მსჯელობისას გაითვალისწინა მისი ეფექტი მოკლე და საშუალო ვადიან პერსპექტივაში.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

წინა პერიოდის რეკლასიფიკაციები. 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის მოგება ზარალში ასახული თანხები პრეზენტაციის მიზნებისთვის რეკლასიფიცირებულია ამავე პერიოდის შესადირის მუხლებში. მენეჯმენტი თვლის რომ ამგვარად წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით შესაფერისად ასახავს პერიოდის განმავლობაში გაწეული ხარჯების ეკონომიკურ შინაარსს. ამ რეკლასიფიკაციებს გავლენა არ მოუხდენია 2018 წლის ფინანსურ შედეგებზე.

- სავაჭრო ობიექტების იჯარის ხარჯის რეკლასიფიკაცია ადმინისტრაციული ხარჯებიდან რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯში.

	2018	რეკლასიფიკაცია	2018 (გადაანგარიშებული)
რეალიზაციისა და დისტრიბუციის სხვა ხარჯები	11,823	-	11,823
იჯარის ხარჯი	-	7,740	7,740
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯი	11,823	7,740	19,563
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	7,992	-	7,992
იჯარის ხარჯი	7,740	(7,740)	-
ადმინისტრაციული ხარჯი	15,732	(7,740)	7,992

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

მიმდინარე წელს კომპანიამ დაწერა ფასს 16 „იჯარა“, რომელიც გამოიცა 2016 წლის იანვარში IASB-ის მიერ. ეს სტანდარტი ძალაშია წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვრიდან. კომპანიის მიერ არ მომხდარა სტანდარტის ადრეული დანერგვა გასული პერიოდების განმავლობაში. კომპანიას მანამდე არ მიუღია სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოცემულია, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული.

ფასს 16 „იჯარა“-მ ჩაანაცვლა ბასს 17 (IAS 17) „იჯარები“, ფასიკ 4 (IFRIC 4) „როგორ განვსაზღვროთ შეიცავს თუ არ შეთანხმება იჯარას“, იმკ 15 (SIC 15) „საოპერაციო იჯარა - სტიმულირება“ და იმკ 27 (SIC 27) „გარიგებების შინაარსის შეფასება, რომელიც შეიცავს იჯარის სამართლებრივ ფორმას“ წლიური პერიოდებისთვის, რომელიც იწყება 2019 წლის 1 იანვარს ან შემდეგ. ამ სტანდარტის გამოყენების შედეგად კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ყველა საოპერაციო იჯარასთან მიმართებით, გარდა დაბალი ღირებულების მქონე იჯარებისა და მოკლევადიანი საიჯარო ხელშეკრულებებისა, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგი 12 თვის განმავლობაში.

ფასს 16-ზე გადასვლა

ფასს 16-ის მიერ დაშვებული პრინციპის შესაბამისად მენეჯმენტის გადაწყვეტილებით არჩეულ იქნა მოდიფიცირებული რეტროსპექტული მიდგომა არ მომხდარიყო კომპანიის შესადირის მონაცემების კორექტირება და ფინანსური ანგარიშგების თავიდან გამოშვება. ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ყველა კორექტირება, რომელიც გამოწვეულია სტანდარტის მოთხოვნების ცვლილებით აისახა კომპანიის საწყის გაუნაწილებელ მოგებაზე.

შესაბამისად, ცვლილებები განმარტებით შენიშვნებში ბასს 17-ის მოთხოვნების შესაბამისად წარმოდგენილია მიმდინარე პერიოდის განმარტებით შენიშვნებში. შესადირის პერიოდის განმარტებითი შენიშვნები წარმოდგენილია და იმეორებს გასული პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ განმარტებით შენიშვნებში ასახულ ინფორმაციას, ხოლო სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებების გავლენა წარმოდგენილია ქვემოთ.

თავდაპირველად კომპანია ფასიკ 4-ის შესაბამისად განსაზღვრავდა კონტრაქტი/შეთანხმება საწყისი აღიარებისას შეიცავდა თუ არა იჯარას. ფასს 16-ის ფარგლებში კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

2. მომზადების საფუძველი (გაგრძელება)

სტანდარტზე გადასვლის თარიღისთვის კომპანიამ შეაფასა თუ რომელი ოპერაციები წარმოადგენს იჯარას. ფასს 16 ეხება იმ კონტრაქტებს, რომლებიც წინა პერიოდში აღიარებული იყო როგორც იჯარა. შეთანხმებებზე, რომლებიც ბასს 17-ისა და ფასიკ 4-ის მიხედვით არ იყო დაიდენტიფიცირებული როგორც იჯარა, ფასს 16 არ ვრცელდება. შესაბამისად, იჯარის განმარტება ფასს 16-ის მიხედვით ვრცელდება მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომლებიც ძალაში შევიდა ან შეიცვალა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდში.

კომპანია გასულ პერიოდში იჯარის კლასიფიცირებისთვის იჯარა საოპერაციო იყო თუ ფინანსური, ეყრდნობოდა იმის შეფასებას იყო თუ არა მნიშვნელოვანი რისკი და სარგებელი გადაცემული მოიჯარისთვის. ფასს 16-ის მიხედვით კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას იჯარის უმეტეს შემთხვევაში.

კომპანია სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის 2019 წლის 1 იანვრისთვის, საოპერაციო იჯარის აქტივის გამოყენების უფლების შესაფასებლად არ ითვალისწინებს საწყის პირდაპირ დანახარჯებს. ამ თარიღისთვის კომპანიამ აქტივის გამოყენების უფლების შესაფასებლად გამოიყენა იჯარის ვალდებულების ტოლი ოდენობა კორექტირებული იჯარასთან დაკავშირებით წინასწარ განხორციელებული ან დარიცხული საიჯარო გადახდების თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე.

კომპანია იყენებს აქტივის გამოყენების უფლების აღიარებისგან გათავისუფლების გამონაკლისს შემდეგ საოპერაციო იჯარებთან მიმართებით:

- იჯარები, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენების თარიღიდან მომდევნო 12 თვის განმავლობაში;
- დაბალი ღირებულებების მქონე იჯარები.

იჯარები, რომლებიც წინათ აღრიცხული იყო როგორც ფინანსური იჯარა, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე. სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი, რომელიც გამოყენებულია საიჯარო ვალდებულებების შესაფასებლად ფასს 16-ის მიხედვით, დოლარში გაფორმებული კონტრაქტებისთვის - 14.5% და ლარში გაფორმებულისთვის 18%.

თავდაპირველად, ფასს 16-ის გამოყენებისას, კომპანიამ გამოიყენა აღნიშნული სტანდარტით ნებადართული პრაქტიკული მეთოდი რეტროსპექტული მიდგომის გამოყენება იჯარის ვადის განსაზღვრისას, როდესაც კონტრაქტი მოიცავს იჯარის გაგრძელების ან შეწყვეტის ოფციონებს.

კომპანია იყენებს ფასს 15-ს „ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან“ იმისათვის, რომ განსაზღვროს ხელშეკრულების კომპონენტების გამოცალკევების საჭიროება.

კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 16-ის მიღების ეფექტი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2018	კორექტირება	რეკლასიფიკაცია	1 იანვარი 2019
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები	-	31,205	1,545	32,750
საიჯარო ვალდებულებები	-	31,205	1,340	32,545

2019 წლის 1 იანვრიდან ძალაში შევიდა ფასიკ 23 - განუსაზღვრელობა მოგების გადასახადის აღრიცხვასთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნულ ინტერპრეტაციას გავლენა არ მოუხდენია კომპანიის მდგომარეობასა და შედეგზე.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბერს ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული საქარველოს ეროვნული ბანკის ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	აშშ დოლარი	ევრო
2019 წლის 31 დეკემბერი	2.8677	3.2095
2018 წლის 31 დეკემბერი	2.6766	3.0701

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალილიკვიდურ ინვესტიციებს სამ თვემდე ვადით. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.
- **ცვეთა.** აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას. მიწას ცვეთა არ ერიცხება. ძირითადი საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, ძირითადი საშუალების სასარგებლო მომსახურების ვადის შესაბამისად. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებია:

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
შენობები	30-50
მანქანა-დანადგარები	2-10
ოფისის აღჭურვილობა	2-10
მაღაზიის ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	7-20
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	2-10
სხვა	3-10

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. კომპანია ანგარიშგების თითოეული თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში ან როდესაც სავალდებულოა გაუფასურებაზე ტესტირება ყოველწლიურად, კომპანია აფასებს აქტივის აღდგენით ღირებულებას. აქტივის აღდგენითი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. აქტივის აღდგენითი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რომლებიც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებული ფულადი სახსრებისგან. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება გადააჭარბებს მის აღდგენით ღირებულებას, აქტივი ითვლება გაუფასურებულად და ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების შესაფასებლად სავარაუდო მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. გაყიდვების ხარჯით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. თუ ასეთი გარიგებების განსაზღვრა ვერ ხერხდება, გამოიყენება შეფასების სხვა შესაფერისი მეთოდი. ეს გამოთვლები დასაბუთდება შეფასების კოეფიციენტებით, აქციათა კოტირებული ფასებით საფონდო ბირჟაზე რეგისტრირებული კომპანიების შემთხვევაში და სამართლიანი ღირებულების სხვა ხელმისაწვდომი მაჩვენებლებით.

არამატერიალური აქტივები.

- **აღიარება და შეფასება.** არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს. ცალკე შემენილი არამატერიალური აქტივები აღრიცხულია თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

- **ამორტიზაცია.** ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივის ამორტიზებადი თანხა სისტემატურად უნდა გადანაწილდეს მის სასარგებლო მომსახურების ვადაზე. არამატერიალურ აქტივებს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში.

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდგომი შეფასებისას ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად ნორმატიული დანაკარგების გათვალისწინებით. მაგალითად, ტრანსპორტირების ხარჯი, საბაჟო გადასახადი და სხვა პირდაპირ მიკუთვნებადი ხარჯები.

საკუთარი წარმოების პროდუქციის შემთხვევაში თვითღირებულებაში, ნედლეულის გარდა შედის სახელფასო ხარჯი, ელექტროენერგიის ხარჯი და სხვა ისეთი ზედნადები ხარჯები, რისი გაწევაც აუცილებელია პროდუქციის დასამზადებლად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს ფიფო მეთოდს (პირველი შემოსავალში - პირველი გასავალში).

ფინანსური ინსტრუმენტები. ფინანსური აქტივები კლასიფიცირდება აღრიცხვის სამ კატეგორიაში:

- 1) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება ამორტიზირებული ღირებულებით (SPPI);
- 2) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით ეფექტის სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI) და
- 3) ფინანსური აქტივები, რომელთა შემდგომი აღრიცხვა ხდება რეალური ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაციას განსაზღვრავს კომპანიის ფინანსური აქტივების მართვის ბიზნეს მოდელი და გაითვალისწინება წარმოადგენს თუ არა სახელშეკრულებო ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირითადი თანხის და პროცენტის გადახდებს (SPPI). თუ სავალს ინსტრუმენტი ფლობილია სახელშეკრულებო ფულადი

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ნაკადების მიღების მიზნით, შესაძლებელია მისი ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხვა, თუ იგი იმავდროულად აკმაყოფილებს SPPI-ს მოთხოვნას. სავალო ინსტრუმენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ SPPI მოთხოვნას და არის ისეთი პორტფელის შემადგენლობაში, რომელსაც კომპანია ფლობს როგორც სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღებისთვის, ისე გასაყიდად, მაშინ შეიძლება კლასიფიცირდეს, როგორც FVOCI. ფინანსური აქტივები, რომლებიც არ აკმაყოფილებენ SPPI-ს მოთხოვნებს, უნდა შეფასდეს FVPL-ით (მაგალითად, წარმოებულები). ჩართული წარმოებულების ფინანსური აქტივებისაგან განცალკევება აღარ ხდება, მაგრამ გათვალისწინებული იქნება SPPI პირობის შეფასებისას.

წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, ხელმძღვანელობას შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა სამართლიანი ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არ არის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, სამართლიანი ღირებულების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში. კომპანია სავალო ინვესტიციებს კლასიფიკაციას უცვლის მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ბიზნეს მოდელი ამ აქტივების სამართავად იცვლება.

- **აღიარება და აღიარების შეწყვეტა.** კომპანია აღიარებს ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მაშინ და მხოლოდ მაშინ, როცა კომპანია ხდება სახელშეკრულებო პირობების ერთ-ერთი მხარე. ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში ფინანსური აქტივების შესყიდვებისა და გაყიდვების აღიარება ხდება ვაჭრობის დღეს, რომელ დღესაც კომპანია იღებს ვალდებულებას, რომ შეისყიდის ან გაყიდის აქტივს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც უფლებას, მიიღოს ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივებიდან, ვადა გაუვა ან სხვას გადასცემს და ამავე დროს გადაეცემა აქტივის ფლობასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და სარგებელი.

კომპანია ფინანსურ ვალდებულებას (ან ფინანსური ვალდებულების ნაწილს) აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან, მაშინ და მხოლოდ მაშინ, როდესაც ის შეწყდება, ანუ როდესაც კონტრაქტით განსაზღვრული ვალდებულება შესრულებულია, გაუქმდება ან ვადა გაუვა. სავალო ინსტრუმენტის განახლება არსებითად განსხვავებული პირობებით, აღიარდება როგორც შეწყვეტა ძველი ვალდებულებისა და აღიარება ახალი ვალდებულების. ანალოგიურად, არსებული ფინანსური ვალდებულების ან მისი ნაწილის პირობების არსებითი მოდიფიცირება (თუნდაც მაშინ, როდესაც ეს გამოწვეულია მსესხებლის ფინანსური სირთულეების გამო), აღიარდება როგორც შეწყვეტა ძველი ფინანსური ვალდებულებისა და აღიარება ახალი ფინანსური ვალდებულების. განსხვავება შეწყვეტილი ან სხვაზე გადაცემული ფინანსური ვალდებულების (ან მისი ნაწილის) საბალანსო ღირებულებასა და გარიგების თანხას შორის, გადაცემული/აღებული არაფულადი აქტივების/ვალდებულებების ჩათვლით, აღიარდება მოგება-ზარალი უწყისში.

- **ღირებულების განსაზღვრა.** საწყისი აღიარებისას კომპანია ფინანსური აქტივის ღირებულებას განსაზღვრავს რეალური ღირებულებით, იმ შემთხვევაში როცა ფინანსური აქტივი არ არის აღრიცხული რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით (FVPL), ტრანზაქციის დანახარჯები, რომელიც პირდაპირ მიკუთვნება ფინანსური აქტივის შეძენაზე ემატება ღირებულებას. ფინანსური აქტივებისთვის, რომელიც აღიარებულია რეალური ღირებულებით მოგება-ზარალის უწყისში ასახვით, გარიგების დანახარჯების აღიარება ხდება ხარჯად მოგება-ზარალის უწყისში.

გარიგების დანახარჯები არის წმინდა დანახარჯები, რომლებიც პირდაპირ მიეკუთვნება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან გაყიდვას. წმინდა დანახარჯი არის დანახარჯი, რომელიც არ იქნებოდა, თუ მოცემული ოპერაცია არ განხორციელდებოდა. გარიგების დანახარჯები მოიცავს აგენტების (რწმუნებულების) (მათ შორის, გაყიდვის აგენტების რანგში მოქმედი დაქირავებული პირების), კონსულტანტების, ბროკერებისა და დილერებისთვის გადახდილ საზღაურსა და საკომისიოებს, მარეგულირებელი ორგანოებისა და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, ასევე გადაცემის გადასახადებსა და მოსაკრებლებს. გარიგების დანახარჯები არ მოიცავს სავალო ფინანსური ინსტრუმენტების პრემიებსა და დისკონტებს, დაფინანსების დანახარჯებსა და შიდა ადმინისტრაციულ დანახარჯებს, ან ფლობის დანახარჯებს.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდზე გადანაწილების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ზუსტად დისკონტირდება მომავალში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების მოსალოდნელი ვადის განმავლობაში, გადასახდელი ან მისაღები შეფასებული ფულადი ნაკადები, ფინანსური აქტივის მთლიან (ბრუტო) საბალანსო ღირებულებამდე, ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებულ ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთით დისკონტირდება ცვალებადი საპროცენტო ინსტრუმენტების ფულადი ნაკადები პროცენტის შემდეგი ფასწარმოქმნის თარიღამდე, გარდა პრემიისა ან ფასდაკლებისა, რაც ასახავს საკრედიტო სპრედს ინსტრუმენტის მითითებულ მერყევ განაკვეთზე, ან სხვა ცვლადებზე, რომელთა მნიშვნელობის საბაზრო განაკვეთების მიხედვით განსაზღვრა არ ხდება. მსგავსი პრემიები ან ფასდაკლებები ამორტიზდება ინსტრუმენტის მთლიანი მომსახურების ვადის განმავლობაში. დისკონტირებული ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეების მიერ ყველა გადახდილ ან მიღებულ საფასურს, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია. ფინანსური აქტივები მასში ჩანერგილი წარმოებულებით განიხილება ერთობლიობაში, რათა განისაზღვროს მასთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები წარმოადგენს თუ არა მხოლოდ ძირისა და პროცენტის მიღებას.

სავალო ინსტრუმენტების შემდგომ შეფასება დამოკიდებულია კომპანიის ბიზნეს მოდელზე, რომელიც გულისხმობს აქტივებისა და აქტივების ფულადნაკადობრივი მახასიათებლების მართვას. არსებობს შეფასების სამი კატეგორია, რომლის მიხედვითაც კომპანია ახდენს სავალო ინსტრუმენტების კლასიფიკაციას:

- **ამორტიზირებული ღირებულება.** აქტივები, რომლებსაც კომპანია ფლობს საკონტრაქტო ფულადი ნაკადების მისაღებად, სადაც აღნიშნული ფულადი ნაკადები წარმოადგენენ მხოლოდ ძირისა და პროცენტის ანაზღაურებას, აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით. ამ ფინანსური აქტივებიდან მიღებული საპროცენტო შემოსავალი მიეკუთვნება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით განსაზღვრულ ფინანსურ შემოსავალს. ფინანსური აქტივების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი შემოსულობები და დანაკარგები

აღიარება ხდება პირდაპირ მოგება-ზარალში. გაუფასურების ხარჯები ცალკე მუხლად არის წარმოდგენილი მოგება-ზარალის უწყისში.

- **FVOCI.** აქტივები, რომლის ფლობის მიზანსაც წარმოადგენს სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების მიღება და გაყიდვა და ამავე დროს ფულადი ნაკადები მხოლოდ ძირს და პროცენტს წარმოადგენს ფასდება რეალური ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI). ყველა ცვლილება აისახება სხვა სრულ შემოსავალში გარდა გაუფასურებასთან დაკავშირებული შემოსულობის/ზარალისა, საპროცენტო შემოსავლისა და საკურსო სხვაობებისა, რაც აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში. ფინანსური აქტივის აღიარების შეწყვეტისას ამ პერიოდამდე სხვა სრულ შემოსავალში აღიარებული შემოსულობა/ზარალი გადაკლასიფიცირდება მოგება-ზარალის უწყისში. ასეთ ფინანსურ ინსტრუმენტებზე საპროცენტო შემოსავლის აღიარება ხდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

- **FVPL.** აქტივები, რომლებიც არ შეესაბამებიან ამორტიზირებული ღირებულებების ან FVOCI-ის კრიტერიუმებს ფასდება რეალური ღირებულებით მოგება-ზარალში ასახვით (FVPL).

- **წილობრივი ინსტრუმენტები.** წილობრივ ინსტრუმენტებში ინვესტიციები ყოველთვის რეალური ღირებულებით ფასდება. თუმცა, მენეჯმენტს შეუძლია გააკეთოს შეუქცევადი არჩევანი, რათა რეალური ღირებულების ცვლილებები წარადგინოს სხვა სრულ შემოსავალში, თუკი მოცემული ინსტრუმენტი გასაყიდად არარის გამიზნული. როდესაც წილობრივი ინსტრუმენტი ფლობილია გასაყიდად, რეალური ღირებულებების ცვლილებების წარდგენა ხდება მოგება-ზარალში.

- **გაუფასურება.** კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მეთოდს რათა გაზომოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომელიც თავის მხრივ იყენებს სრული ვადის განმავლობაში მოსალოდნელ ზარალის ანარიცხს ყველა სავაჭრო მოთხოვნისთვის. კომპანია საკრედიტო ზარალის წარსულ მონაცემებს იყენებს ფინანსური აქტივების არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად. ამისთვის ფასდება ფინანსური აქტივებიდან ფულადი ნაკადების გადაუხდელობის ალბათობა. შემდეგ მოცემული ალბათობა მრავლდება მოსალოდნელ დანაკარგებზე, რომელიც დამოკიდებულია ხელშეკრულებით არებული ვალდებულების შეუსრულებლობის რისკის დონეზე. შედეგად, განისაზღვრება სავაჭრო მოთხოვნების არსებობის მანძილზე

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

მოსალოდნელი გაუფასურების დანაკარგი. კომპანია მოთხოვნას მიმდინარედ განიხილავს წარმოშობიდან სამი თვის განმავლობაში.

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანიის ფინანსური აქტივები ყველა წარდგენილი ანგარიშგების თარიღისთვის ხვდება იმ კატეგორიაში, რომელიც თავდაპირველად აღიარდება რეალური ღირებულებით და შემდგომ ამორტიზირებული ღირებულებით და მოიცავს სავაჭრო მოთხოვნებს, ფულად სახსრებს და მათ ექვივალენტებს.

- **ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია.** ფინანსურ ვალდებულებებს შემდეგი შეფასების კატეგორიები გააჩნიათ: 1) გასაყიდად ფლობილი, რომელიც მოიცავს აგრეთვე ფინანსურ წარმოებულებს და 2) სხვა ფინანსური ვალდებულებები.

გასაყიდად ფლობილი წარმოდგენილია რეალური ღირებულებით, ცვლილებები რეალურ ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალის უწყისში იმ პერიოდში როდესაც წარმოიქმნა (FVPL).

ფინანსური ვალდებულებების რეალურ ღირებულებაში ცვლილებები, იმ დროს როდესაც კომპანია იყენებს FVPL-ს მოდელს, შეუქცევადად აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში (OCI), თუ:

- სხვა სრულ შემოსავალში წარდგენა წარმოიქმნის ან გაზრდის მოგება-ზარალში სააღრიცხვო შეუსაბამობებს; ან
- ვალდებულება არის სავალ ვალდებულება ან ფინანსური გარანტიის კონტრაქტი.

- **ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა.** ფინანსური აქტივების და ვალდებულებების ურთიერთგადაფარვა ხდება და ნეტო თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს აღიარებული თანხების იურიდიულად აღსრულებადი უფლება და არსებობს ნეტო საფუძველზე ანგარიშსწორების ან ერთდროულად აქტივის რეალიზების და ვალდებულების ანგარიშსწორების განზრახვა. ურთიერთგადაფარვის მსგავსი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული რაიმე სამომავლო მოვლენაზე და (ბ) იურიდიულად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა ქვემოთ ჩამოთვლილ გარემოებებში: 1) ჩვეულებრივი ბიზნეს-საქმიანობისას; 2) დეფოლტისას; 3) გადახდისუნარიანობის ან გაკოტრებისას.

სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა - კომპანია ფინანსურ ინსტრუმენტებს აფასებს გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას. გარდა ამისა ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება ასევე წარდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად, ან გადაიხდება ვალდებულების გადაცემის შედეგად, ბაზრის მონაწილეებს შორის ჩვეულებრივი გარიგების პირობებში შეფასების თარიღისთვის. სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა იმ დაშვებას ეყრდნობა, რომ აქტივის გაყიდვის ან ვალდებულების გადაცემის გარიგება შედგება აქტივის ან ვალდებულების მთავარ ბაზარზე ან მთავარი ბაზრის არარსებობის შემთხვევაში, აქტივის ან ვალდებულებისთვის ყველაზე ხელსაყრელ ბაზარზე. მთავარი ან ყველაზე ხელსაყრელი ბაზარი კომპანიასთვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს.

აქტივის ან ვალდებულების სამართლიანი ღირებულების განსაზღვრა ხორციელდება იმ დაშვების საფუძველზე, რომ ბაზრის მონაწილეები აქტივის ან ვალდებულების შეფასებისას იმოქმედებენ საკუთარი ეკონომიკური ინტერესების მაქსიმალური გათვალისწინებით.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც არსებული გარემოებებისთვის შესაფერისია და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძევა, რომლებიც მაქსიმალურად იყენებენ ემპირიულ მონაცემებს და მინიმალურად - არაემპირიულ მონაცემებს.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებებში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე, რომელიც მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- დონე 1 – იდენტური აქტივების ან ვალდებულების კოტირებული (არაკოტირებული) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე;

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- დონე 2 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა;

- დონე 3 – ღირებულების შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის განსაზღვრა.

კომპანია განსაზღვრავს ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების ერთი იერარქიიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კატეგორიზაციის განმეორებითი შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის საფუძველზე) ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოსთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ ინფორმაციის წარდგენის მიზნით, კომპანიამ განსაზღვრა აქტივებისა და ვალდებულებების კლასები მათი დანიშნულების, მახასიათებლების და რისკების, ასევე სამართლიანი ღირებულების ზემოაღნიშნულ იერარქიაში მათი დონის საფუძველზე.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. მოთხოვნა კლასიფიცირდება მიმდინარედ, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივი.

გაცემული ავანსები. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული გაუფასურების ანარიცხებით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილ ავანსთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილ ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო-კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

იჯარა. ხელშეკრულების დაწყებისას კომპანია აფასებს მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას. ხელშეკრულება მთლიანად არის საიჯარო ხელშეკრულება, ან შეიცავს იჯარას, თუ ხელშეკრულების მეშვეობით ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ. იმის შესაფასებლად ხდება იდენტიფიცირებული აქტივის კონტროლის უფლების გადაცემა კომპანია აფასებს:

- გულისხმობს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენებას - რომელიც შეიძლება განისაზღვროს აშკარად ან შინაარსობრივად და ფიზიკურად განცალკევებულია ან წარმოადგენს ფიზიკურად განკალკევებული აქტივის არსებით სიმძლავრეს. თუ მომწოდებელს გააჩნია აქტივის არსებითი შეცვლის უფლება აქტივი არ არის იდენტიფიცირებული

- კომპანიას გააჩნია ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან პრაქტიკულად მთელი სარგებლის მიღების უფლება;

- კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება. კომპანიას აქვს უფლება აქვს განსაზღვროს როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში. იშვიათ შემთხვევებში, როდესაც წინასწარ არის დადგენილი შესაბამისი გადაწყვეტილებები იმის თაობაზე, როგორ

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

და რა მიზნით გამოიყენება აქტივი, კომპანიას აქვს იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების წესის განსაზღვრის უფლება თუ:

- (i) კომპანიას აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება;
- (ii) კომპანიამ იმგვარად დააპროექტა აქტივი (ან აქტივის გარკვეული ასპექტები), რაც თავად განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით იქნება გამოყენებული აქტივი/გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

აღნიშნული პოლიტიკა ვრცელდება მხოლოდ იმ კონტრაქტებზე, რომლებიც ძალაში შევიდა ან შეიცვალა 2019 წლის 1 იანვარს ან შემდგომ პერიოდში.

როდესაც კონტრაქტი შეიცავს იჯარის კომპონენტს, მისი საწყისი აღიარებისას ან შემდგომი შეფასებისას კომპანია ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ანაზღაურებას ანაწილებს თითოეულ საიჯარო კომპონენტზე საიჯარო კომპონენტების განცალკევებული შედარებითი ფასების საფუძველზე. თუმცა მიწისა და შენობის იჯარის შემთხვევაში, კომპანია არ აცალკევებს ისეთ კომპონენტებს, რომლებიც არ შეიცავს იჯარას და შესაბამისად ორივე ტიპის კომპონენტს აღრიცხავს როგორც ერთ განცალკევებულ კომპონენტს.

კონტრაქტები, რომლებიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვარამდე კომპანია განსაზღვრავს შეიცავდა თუ არა შეთანხმება იჯარას შემდგომი შეფასებაზე დაყრდნობით:

- შეთანხმების შესრულება დამოკიდებულია აქტივის ან აქტივთა ჯგუფის გამოყენებაზე;
- შეთანხმების მიხედვით გადაცემულია აქტივის გამოყენების უფლება. აქტივის გამოყენების უფლება გადასულია მაშინ, როდესაც:
 - o მყიდველს აქვს აქტივის ექსპლუატაციის უფლება ან შესაძლებლობა, როდესაც იღებს ან აკონტროლებს აქტივით წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს;
 - o მყიდველს აქვს აქტივის კონტროლის უფლება, როდესაც იღებს ან აკონტროლებს აქტივით წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს; ან
 - o ფაქტები და გარემოებები მიუთითებენ რომ ნაკლებად სავარაუდოა რომ სხვა მხარე მიიღებს აქტივით წარმოებული პროდუქციის მნიშვნელოვან ნაწილს და ერთეულის ფასი არ იქნება ფიქსირებული და ტოლი აქტივით წარმოებული პროდუქციის მიმდინარე საბაზრო ფასისა.

კომპანია, როგორც მოიჯარე

თავდაპირველი აღიარება. კომპანია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის აღიარებს აქტივს გამოყენების უფლებით და საიჯარო ვალდებულებას. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას აფასებს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს საიჯარო ვალდებულების საწყის ღირებულებას დაკორექტირებული საიჯარო გადახდებით, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით, მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებით და იმ დანახარჯებით, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს.

ცვეთა. აქტივის გამოყენების უფლების ამორტიზაცია ხდება წრფივი მეთოდის საფუძველზე, იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის ამოწურვამდე ან იჯარის ვადამდე. აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების განსაზღვრისას კომპანია იყენებს იგივე მიდგომებს, როგორც ძირითად საშუალებებზე. კომპანია აქტივის გამოყენების უფლებას პერიოდულად ამცირებს გაუფასურების ზარალით, თუ არსებობს საიჯარო ვალდებულებების ხელახალი შეფასების საჭიროება.

აქტივის გამოყენების უფლება	სასარგებლო მომსახურების ვადა
შენობები	30-50
მაღაზიის ავეჯი და სხვა ინვენტარი	2-10
სატრანსპორტო საშუალებები	2-10

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება. იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია საიჯარო ვალდებულება აფასებს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება ხორციელდება იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ ამ განაკვეთის განსაზღვრა ადვილად შეიძლება. თუ ამ განაკვეთის ადვილად განსაზღვრა შეუძლებელია, კომპანია იყენებს ზღვრული სასესხო განაკვეთს.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, საიჯარო გადახდები, რომლებიც გაითვალისწინება საიჯარო ვალდებულების შეფასებაში, მოიცავს იჯარის ვადის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების უფლებასთან დაკავშირებულ შემდეგი სახის გადახდებს, რომლებიც განხორციელებული არ არის იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის:

- ა) ფიქსირებულ გადახდებს, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით;
- ბ) ინდექსზე ან განაკვეთზე დამოკიდებულ ცვლად საიჯარო გადახდებს, რომლებიც თავდაპირველად შეფასებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის ინდექსის, ან განაკვეთის გამოყენებით;
- გ) თანხებს, რომლებსაც მოსალოდნელია, რომ მოიჯარე გადაიხდის ნარჩენი ღირებულების გარანტიების მიხედვით;
- დ) შესყიდვის არჩევანის უფლების ფასს, თუ საკმარისად სარწმუნოა, რომ მოიჯარე გამოიყენებს ამ უფლებას;
- ე) იჯარის ვადამდე შეწყვეტისთვის ჯარიმების გადახდას, თუ იჯარის ვადა ასახავს მოიჯარის მიერ იჯარის ვადამდე შეწყვეტის არჩევანის უფლების გამოყენებას.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ კომპანია საიჯარო ვალდებულებას აფასებს ამორტიზირებული ღირებულებით, რომელიც კორექტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. კომპანია ხელახლა აფასებს საიჯარო ვალდებულებებს როდესაც შეიცვლება თანხები, რომელთა გადახდაც მოსალოდნელია ნარჩენი ღირებულების გარანტიის პირობის ფარგლებში ან როდესაც შეიცვლება კომპანიის შეფასება კონტრაქტის გაყიდვის, გაგრძელების ან შეწყვეტის უფლების შესახებ.

კომპანია საიჯარო ვალდებულების ხელახალი შეფასების შედეგად მიღებული თანხას აღიარებს, როგორც აქტივის გამოყენების უფლების კორექტირებას. თუმცა, თუ აქტივის გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება მცირდება ნულამდე და ამავე დროს მცირდება საიჯარო ვალდებულების შეფასებაც, მოიჯარე ხელახალი შეფასების თანხის დარჩენილი ნაწილი უნდა აღიაროს მოგება/ზარალში.

კომპანია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარადგენს აქტივის გამოყენების უფლებას, რომელიც არ აკმაყოფილებს საინვესტიციო ქონების განმარტებას და საიჯარო ვალდებულებას.

მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე იჯარები. კომპანიამ გამოიყენა გათავისუფლების უფლება და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივებს და იჯარებს, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის პირველადი გამოყენებიდან მომდევნო 12 თვეში, არ აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებად. კომპანია ასეთ საიჯარო გადახდებს აღიარებს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით ან რომელიმე სხვა სისტემატური საფუძვლით.

საოპერაციო, იჯარად კლასიფიცირებული იჯარა ბასს 17-ის მიხედვით. სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით საიჯარო ვალდებულება უნდა შეფასდეს დარჩენილი საიჯარო გადახდების მიმდინარე ღირებულებით, დისკონტირებული ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთით 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით. აქტივის გამოყენების უფლება უნდა შეფასდეს:

- საბალანსო ღირებულებით ისე, თითქოს წინამდებარე სტანდარტს იყენებდა იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან, მაგრამ მისი დისკონტირებით სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის არსებული მოიჯარის ზღვრული სასესხო განაკვეთის გამოყენებით - კომპანია იყენებს ამ მიდგომას მნიშვნელოვან აქტივთა ჯგუფისთვის.
- საიჯარო ვალდებულების ტოლი თანხით, რომელიც კორექტირებული იქნება იჯარასთან დაკავშირებით წინასწარ განხორციელებული ან დარიცხული საიჯარო გადახდების თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულია უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღამდე - კომპანია იყენებს ამ მიდგომას სხვა საიჯარო აქტივთა ჯგუფისთვის.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კომპანიას ფასს 16-ის რეტროსპექტულად გამოყენებისას ერთი ან რამდენიმე ქვემოთ აღწერილი გამარტივებული მიდგომის გამოყენების უფლება აქვს ისეთი იჯარასთან მიმართებით, რომელიც წინათ ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო საოპერაციო იჯარად:

- მოიჯარეს უფლება აქვს ერთი დისკონტირების განაკვეთი გამოიყენოს საკმარისად მსგავსი მახასიათებლების მქონე საიჯარო ხელშეკრულებების პორტფელთან მიმართებით;
- გაუფასურების მიმოხილვის ჩატარების ნაცვლად მოიჯარეს უფლება აქვს, ბასს 37-ის – „ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები“ – შესაბამისად გააანალიზოს, არის თუ არა იჯარა ზარალიანი. ამასთან, ეს ანალიზი უშუალოდ სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის წინ უნდა ჩატარდეს. თუ მოიჯარე გადაწყვეტს ზემოაღნიშნული გამარტივებული მიდგომის გამოყენებას, მან სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის უნდა დააკორექტიროს აქტივის გამოყენების უფლება ზარალიან იჯარასთან დაკავშირებით აღიარებული ანარიცხის ტოლი თანხით, რომელიც ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებული იყო უშუალოდ
- გამოიყენოს უფლება არ აღიაროს აქტივის გამოყენების უფლება იმ იჯარებთან მიმართებით, რომელთა ვადა იწურება სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღის შემდეგი 12 თვის განმავლობაში.
- მოიჯარეს უფლება აქვს, თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები არ გაითვალისწინოს სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღით აქტივის გამოყენების უფლების შეფასებაში;
- მოიჯარე სუფლება აქვს რეტროსპექტული მიდგომა გამოიყენოს თუ ხელშეკრულება ითვალისწინებს იჯარის გაგრძელების ან ვადამდე შეწყვეტილ არჩევის უფლებას.

იჯარა, რომელიც წინათ კლასიფიცირებული იყო, როგორც ფინანსური იჯარა. თუ მოიჯარე წინამდებარე სტანდარტის გამოყენებას გადაწყვეტს ისეთი იჯარისთვის, რომელიც წინათ ბასს 17-ის შესაბამისად კლასიფიცირებული იყო ფინანსურ იჯარად, სტანდარტის თავდაპირველი გამოყენების თარიღისთვის აქტივის გამოყენების უფლებისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება იქნება საიჯარო აქტივისა და საიჯარო ვალდებულების საბალანსო ღირებულება, რომელიც მათ ჰქონდა უშუალოდ ბასს 17-ის გამოყენებით შეფასებამდე.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი. საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადი განაწილებულ მოგებაზე ირიცხება დივიდენდების სახით იმ პარტნიორებზე გადანაწილებულ მოგებაზე, რომლებიც ფიზიკური ან არარეზიდენტი პირები არიან საქართველოში, წმინდა განაწილების 15/85-ზე განაკვეთით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და მოგების გადასახადის ხარჯი იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში

მოხდა დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნეს საქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და მოგება-ზარალის ანგარიშგების ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯების ნაწილში აისახება, როგორც გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა.

განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის განუსაზღვრელი საგადასახადო პოზიციები თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელახლა შეფასდება ხელმძღვანელობის მიერ. შეფასება ეფუძნება საგადასახადო კანონმდებლობის ინტერპრეტაციას, რომლებიც ამოქმედდა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს და ამგვარი საკითხების შესახებ ცნობილია სასამართლოს ან სხვა განჩინებებით.

3. მნიშვნელოვანი სადრიცხო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღგ-ით დაბეგვრას ან შესაძლებელია დღგ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღგ-ით შემცირებული ღირებულებით.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ. საწესდებო კაპიტალი აღიარდება დამფუძნებლების შენატანების რეალური ღირებულებით და კლასიფიცირებულია, როგორც წილობრივი ინსტრუმენტი.

ამონაგების აღიარება. ფასს 15-ის მოთხოვნების მიხედვით კომპანია აღრიცხავს შემდეგი სახის შემოსავლებს: საცალო გაყიდვები მაღაზიებში და ონლაინ, სარეკლამო და სხვა მარკეტინგული მომსახურებები მაღაზიებში.

საცალო რეალიზაცია ხორციელდება როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირებზე. შემოსავლის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც ხდება პროდუქციაზე კონტროლის უფლების გადაცემა, რაც გულისხმობს პროდუქციის მომხმარებელზე გადაცემას სალაროსთან. ონლაინ მაღაზიიდან გაყიდვის შემთხვევაში კონტროლის გადაცემა ხდება მომხმარებლისთვის შეთანხმებულ ადგილზე პროდუქციის გადაცემისას.

სარეკლამო და სხვა მარკეტინგული მომსახურებების შემთხვევაში, შემოსავალი აღიარდება დროის გასვლის შემდეგ შედეგების მეთოდის გამოყენებით, შემოსავალი აღიარდება კონტრაქტის საფუძველზე შეთანხმებული გარიგების ფასით.

პროდუქციის/მომსახურების საფასურის ანაზღაურება ხდება ან პროდუქციის გადაცემის მომენტში ან მომავალში შეთანხმებული გადახდის პირობების შესაბამისად, ნორმალური საკრედიტო ვადა შეადგენს საქონლის/მომსახურების გადაცემიდან 30-90 დღეს. შესაბამისად გარიგების ფასი არ კორექტირდება მნიშვნელოვანი ფინანსური კომპონენტის ეფექტით.

კომპანია ძირითად ოპერაციებში გამოდის პრინციპალის როლში. ასევე, შეთანხმებულ საქონელთან მიმართებით მოქმედებს, როგორც აგენტი, რაც გულისხმობს ვალდებულებას სხვა მესამე მხარის მიმართ, გაუწიოს ორგანიზება საბოლოო მომხმარებლისთვის საქონლის მიწოდებას.

კომპანია მომხმარებლებს არ სთავაზობს გარანტიებს, გადახდილი თანხის ანაზღაურების და პროდუქციის დაბრუნების უპირობო უფლებას. კომპანია არ გეგმავს ისეთი გარიგებების განხორციელებას, რომლის შემთხვევაშიც პერიოდი პროდუქციის კლიენტისთვის გადაცემის მომენტიდან ღირებულების ანაზღაურებამდე აღემატება ერთ წელს.

მომხმარებლებთან დადებულ კონტრაქტებთან დაკავშირებული აქტივები და ვალდებულებები. როდესაც კონტრაქტის მონაწილე რომელიმე მხარე შეასრულებს კონტრაქტით ნაკისრ ვალდებულებას, კომპანია ვალდებულია აღრიცხოს კონტრაქტი კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში როგორც საკონტრაქტო აქტივი ან ვალდებულება, რაც დამოკიდებულია კომპანიის მიერ შესრულებული სამუშაოსა და მომხმარებლის მიერ გადახდას შორის დამოკიდებულებაზე. კომპანია ვალდებულია წარადგინოს ნებისმიერი უპირობო უფლებები ცალკე, როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

საკონტრაქტო აქტივები. როდესაც კომპანია მომხმარებელს გადასცემს საქონელს/მომსახურებას მომხმარებლის მიერ საქონლის საფასურის გადახდამდე ან გადახდის ვადის მოსვლამდე, კომპანია გარიგებას აღრიცხავს როგორც კონტრაქტულ აქტივს, გარდა იმ თანხისა, რომელიც წარმოდგენილია როგორც მისაღები დებიტორული დავალიანება.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ვალდებულებები. მომხმარებლებისგან მიღებული ავანსები ან კომპანიის უპირობო უფლებები საქონლის გადაცემამდე კლიენტებისგან კომპენსაციის მიღებაზე აღიარდება როგორც კონტრაქტული ვალდებულებები. კონტრაქტული ვალდებულებები აღირიცხება ავანსის გადახდისას ან გადახდის ვადის დადგომისას (ამ ორიდან რომელიც უფრო ადრე მოხდება). კონტრაქტული ვალდებულებები წარმოადგენენ კომპანიის ვალდებულებას, მომხმარებლებს გადასცენ საქონელი, რომლის სანაცვლოდაც კომპანიას მიღებული აქვს კომპენსაცია (ან კომპენსაციის გადახდის ვადა დამდგარია).

აქტივის დაბრუნების უფლება. ეს არის კომპანიის უფლება აღადგინოს მომხმარებლისგან დაბრუნებული მარაგის ღირებულება. ის აღირდება დასაბრუნებელი აქტივის თვითღირებულებით, შემცირებული დაბრუნების გამო აქტივის ღირებულების შემცირებით ან მარაგის მობრუნებასთან დაკავშირებული ხარჯებით.

აქტივის დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულებები. ეს არის კომპანიის ვალდებულება რომ დაუბრუნოს მომხმარებელს მიღებული ან მისაღები ანაზღაურება სრულად ან ნაწილობრივ და აღიარდება იმ თანხით, რისი დაბრუნების მოლოდინიც აქვს კომპანიას ანგარიშგების თარიღისთვის. კომპანია ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ანახლებს შეფასებებს რაც გამოიყენება ამ ვალდებულებების აღსაღრცხავად. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები. კომპანია მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს აღიარებს, როგორც აქტივს იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია მისი ამორტიზირება თორმეტ თვეზე დიდი პერიოდის განმავლობაში.

კონტრაქტის გაფორმების დამატებით ხარჯებს წარმოადგენს ის ხარჯები, რომლებსაც კომპანია გასწევს მომხმარებელთან კონტრაქტის გაფორმებისთვის და რომლის გაწევის აუცილებლობა არ წარმოიშობოდა თუ არ მოხდებოდა კონტრაქტის გაფორმება. კონტრაქტის გაფორმების დამატებითი ხარჯები, რომელთა გაწევა მოხდებოდა მიუხედავად იმისა, გაფორმდა თუ არა კონტრაქტი, აღირიცხება ხარჯებად მათი გაწევისას, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც აღნიშნული ხარჯების გაწევა სრულად ხორციელდება მომხმარებლის მიერ მიუხედავად იმისა, გაფორმდება თუ არა კონტრაქტი. კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში არ ქონია კონტრაქტის გაფორმებასთან დაკავშირებული ხარჯები.

სხვა შემოსავალი. სხვა შემოსავლის აღიარება ხდება, როცა არსებობს რწმუნება, რომ კომპანია განხორციელებული ოპერაციებიდან მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და შესაძლებელია შემოსავლის ოდენობის საიმედოდ განსაზღვრა. შემოსავლის აღიარება ხდება მის მიღებაზე გაწეული ხარჯების გამოკლებით ოპერაციის განხორციელების პერიოდისათვის.

ხარჯების აღიარება. მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგო პერიოდში და ძირითადად ინახება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში
- ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში

ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.

ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **რეზერვი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე**

კომპანია იყენებს რეზერვების მატრიცას რომ იანგარიშოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე. ანარიცხის განაკვეთები ეფუძნება მსგავსი გაუფასურების ინდიკატორების მქონე მოთხოვნების ერთობლიობას დაჯგუფებულს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით. რეზერვების მატრიცა ეყრდნობა ისტორიულ მონაცემებს რომელიც ახლდება ყოველი წლის ბოლოს მომავალზე ორიენტირებული მიდგომების გათვალისწინებით.

ისტორიულ განაკვეთებს, ეკონომიკის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ECL-ს შორის უერთიერთკავშირის შეფასება მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას წარმოადგენს. კომპანიის ისტორიული საკრედიტო დანაკარგებით და ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებით შეფასებული ანარიცხები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ზარალისგან.

- **ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის შეფასება.**

აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, მენეჯმენტი განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

- **საიჯარო ხელშეკრულებების პირობების განსაზღვრა**

გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას მენეჯმენტი ეყრდნობა შეუქცევადი იჯარის ვადას დაკორექტირებულს ნებისმიერ სხვა პერიოდთან ერთად რომელზეც ვრცელდება იჯარის გახანგრძლივების ფუნქცია თუ არსებობს გონივრული რწმენა იმისა, რომ ამგვარი ფუნქციით კომპანია ისარგებლებს ან ნებისმიერი ისეთი პერიოდის გათვალისწინებით რომელზეც ვრცელდება იჯარის შეწყვეტის ფუნქცია თუ მისი გამოყენების გონივრული რწმენა არ არსებობს.

საიჯარო ვალდებულების შესაფასებლად კომპანიას არ შეუძლია განსაზღვროს იჯარაში შემავალი ზღვრული საპროცენტო განაკვეთი და იყენებს ზღვრულ სასესხო საპროცენტო განაკვეთს. რაც წარმოადგენს ისეთ საპროცენტო განაკვეთს, რომლის გადახდაც მოუწევდა მსგავსი ღირებულების აქტივის მისაღებად საჭირო თანხის მოსაზიდად.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.**

მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. შეფასება ეყრდნობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის ძალაში შესულ ან არსებითად ძალაში შესულ საგადასახადო კანონების ინტერპრეტაციას, აგრეთვე სასამართლოს ან სხვა რომელიმე ცნობილ გადაწყვეტილებას აღნიშნულ საკითხებზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის კაპიტალი იყო უარყოფითი, რაც ძირითადად გამოწვეულია გასულ პერიოდებში მენეჯმენტში არსებული პრობლემების და ბაზარზე კონკურენციის გამწვავებით წარმოქმნილი ზარალით და ძველ პერიოდში მიღებული აქტივების მნიშვნელოვანი გაუფასურებით.

უარყოფითმა საოპერაციო შედეგებმა და სამუშაო კაპიტალის შეზღუდულმა მოცულობამ ვერ უზრუნველყო კომპანიის გამართული მუშაობა და 2013 წლის 20 სექტემბრის სს „გუდვილმა“ განცხადებით მიმართა სასამართლოს გადახდისუუნარობის საქმის წარმოების დაწყებაზე. 2014 წლის 30 იანვარს კრედიტორთა კრებაზე დამტკიცდა რეაბილიტაციის განხორციელების პროცედურის დაწყება.

კომპანიაში დაინიშნა რეაბილიტაციის მმართველი და შედგა ვადაგადაცილებული დავალიანებების დაფარვის გრაფიკი. 2019 წელს რეაბილიტაციის ვალდებულებების გადახდის გრაფიკში განხორციელდა ცვლილება. კერძოდ, განახლებული რეაბილიტაციის გეგმა გულისხმობდა ვალდებულების სრულად დაფარვას 2025 წლამდე, ნაცვლად 2022 წლისა. რეაბილიტაციის ვალდებულების დასაფარად განკუთვნილი თანხა განისაზღვრა კომპანიის მიერ მიღებული ყოველწლიური ფინანსური (IFRS) მოგების 60%-ით, ხოლო 40% უნდა მოხმარებოდა კომპანიის განვითარებას.

კომპანიამ 2019 წელს განახლებული გეგმის შესაბამისად 2020 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით სრულად დაფარა რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული გადახდები. პანდემიით შექმნილი მდგომარეობიდან გამომდინარე, 2020 წლის მეორე კვარტლიდან ლიკვიდურობის და საკმარისი სამუშაო კაპიტალის შესანარჩუნებლად აუცილებელი გახდა კრედიტორებთან შეთანხმებული გადახდის გრაფიკის გადახედვა.

2019 წლის ფინანსური წლის შედეგი არის უარყოფითი, სრულმა ზარალმა შეადგინა 2,563 ათასი ლარი. ზარალის ძირითად მიზეზს წარმოადგენს ფასს 16-ის გამოყენების გამო გაზრდილი იჯარებთან დაკავშირებული საპროცენტო და საკურსო სხვაობის ხარჯი. ასევე კომპანიას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აქვს ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანება 5,938 ლარის ოდენობით.

მენეჯმენტმა იმის შესაფასებლად, ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვება ზემოხსენებული გარემოებების ფონზე კვლავაც შეიძლება თუ არა, მხედველობაში მიიღო ის ფაქტი, რომ კომპანიამ 2020 წელს, ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე კვლავ შეიტანა ცვლილებები რეაბილიტაციის ვალდებულებების გადახდის გრაფიკში. კერძოდ, 2020 წლის 29 ივლისს დამტკიცებული განახლებული რეაბილიტაციის გეგმის თანახმად 2020 წლის პირველი კვარტლიდან შეწყდა დავალიანების გადახდები 2021 წლამდე. აღნიშნული გეგმა არ ითვალისწინებს ყოველწლიურ მინიმუმალურ გადახდებს და ასევე განისაზღვრა გადასახდელი თანხის გაანგარიშების წესი, კერძოდ ყოველწლიური გადასახდელი თანხის გაანგარშება მოხდება წინა საანგარიშო წელს მიღებული ყოველწლიური ფინანსური (IFRS) წმინდა მოგების 60%-ით. ამასთანავე თუ წინა წლის საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წმინდა ფულადი ნაკადები ნაკლებია წინა წლის ფინანსური მოგების 60%-ზე, მაშინ ვალდებულების დაფარვისთვის ხელმისაწვდომი თანხა განისაზღვრება არა ფინანსური მოგების 60%-იდან, არამედ საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წინა წლის წმინდა ფულადი ნაკადების 60%-დან.

ასევე მენეჯმენტის შეფასებით, 2019 წლის ზარალი არ უკავშირდება უარყოფით საოპერაციო შედეგებს და გავლენა ქონდა მხოლოდ ისეთ არაფულად შედეგებსა და ვალდებულებებზე, რაც უკავშირდება მომავალ პერიოდებში გადასახდელ იჯარებს.

მენეჯმენტის შეფასებით, განახლებული გეგმა იძლევა იმის საშუალებას, რომ კომპანია კეთილსინდისიერად მოემსახუროს რეაბილიტაციის ვალდებულებებს 2021 წლიდან, გააგრძელოს განვითარება და მოახდინოს მიმდინარე ვადადამდგარი ვალდებულებების ეტაპობრივი შემცირება.

პარალელურად მენეჯმენტმა ასევე მოამზადა მომავალი წლების განახლებული ფინანსური მოდელი, რაც ეფუძნება კომპანიის ისტორიულ მონაცემებს დაკორექტირებულს პანდემიის უარყოფითი ეფექტით. აღნიშნული ფინანსური მოდელი ითვალისწინებს რეაბილიტაციის ვალდებულებების დაფარვას შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად ისე რომ უზრუნველყოფილი იყოს საკმარისი სამუშაო კაპიტალი და კომპანიის სტაბილური მუშაობა.

კომპანიის მენეჯმენტს სჯერა, რომ 2021 წლიდან მას შემდეგ რაც დაიწყებს ეკონომიკა გაჯანსაღებას, კიდევ უფრო გაუმჯობესდება კომპანიის შედეგები. შესაბამისად, უკანასკნელი წლების გაუმჯობესებული ფინანსური

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას (გაგრძელება)

მონაცემები, არსებული ბიზნესის განვითარების გეგმები და რეაბილიტაციის ვალდებულებების დაფარვის მიმდინარე გრაფიკი თავსებადია კომპანიის უნართან განაგრძოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ და დაფაროს ვალდებულებები დროულად ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში.

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც ჯერ არ არის ამოქმედებული

კომპანიას ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში არ მოუხდენია ნაადრევი გამოყენება იმ ახალ სტანდარტების, ინტერპრეტაციების და ცვლილებების, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის შესული ძალაში. ქვემოთ მოცემულია ახალი და შეცვლილი სტანდარტები, რომლებსაც შესაძლოა ჰქონდეს მომავალში გავლენა კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე:

ფასს 17 - სადაზღვევო ხელშეკრულებები (გამოცემულია 2017 წლის 18 მაისს, ძალაში შედის 2021 წლის 1 იანვარს ან შემდეგ დაწყებული პერიოდებისათვის).

ფასს 17-ით ჩანაცვლდა ფასს 4, რომელიც კომპანიებს აძლევდა თავისუფლებას, რათა გაეგრძელებინათ სადაზღვევო ხელშეკრულებების ბუღალტრული აღრიცხვის წარმოება არსებული პრაქტიკის მიხედვით. შედეგად, ინვესტორებისათვის რთული იყო სხვაგვარად მსგავსი სადაზღვევო კომპანიების ფინანსური საქმიანობის შედეგების შედარება. ფასს 17 არის ერთ პრინციპზე დაფუძნებული სტანდარტი ყველა ტიპის სადაზღვევო ხელშეკრულებების აღრიცხვისათვის, მათ შორის მზღვეველის მიერ ფლობილი გადაზღვევის ხელშეკრულებებისათვის. სტანდარტით მოითხოვება სადაზღვევო ხელშეკრულების ჯგუფების აღიარება და აღრიცხვა: (i) სამომავლო ფულადი ნაკადების რისკის გათვალისწინებით კორექტირებული დისკონტირებული ღირებულებით (სრული ფულადი ნაკადები), რომლებიც მოიცავს ყველა არსებულ ინფორმაციას სრული ფულადი ნაკადების შესახებ, ბაზარზე დაკვირვებად ინფორმაციასთან თანმიმდევრული გზით; მიმატებული (თუ ეს ღირებულება ვალდებულებას) ან გამოკლებული (თუ ეს ღირებულება აქტივია) (ii) თანხა, რომელიც წარმოადგენს გამოუმუშავებელ მოგებას ამ კომპანიის ხელშეკრულებებში (სახელშეკრულებო მომსახურების მარჟა). მზღვეველები აღიარებენ სადაზღვევო ხელშეკრულებების კომპანიიდან მიღებულ მოგებას იმ პერიოდის განმავლობაში, როდესაც ისინი უზრუნველყოფენ დაზღვევას, აღებული რისკისგან გათავისუფლებამდე. თუ ხელშეკრულებების მოცემული კომპანია ზარალიანი გახდება, კომპანია ზარალს მაშინვე აღიარებს. კომპანია არ მოელის ფინანსურ ანგარიშგებაზე ახალი სტანდარტის რაიმე გავლენას.

ფასს 10 და ბასს 18 (დამატება) აქტივების გაყიდვა ან კონტრიბუცია ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის - ფასს 10- ში და ბასს 28- ში შეტანილი ცვლილებები ეხება სიტუაციებს, როდესაც ადგილი აქვს ინვესტორსა და მის მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოს შორის აქტივების გაყიდვას ან კონტრიბუციას. კერძოდ, ცვლილებებში ნათქვამია, რომ შვილობილი საწარმოს კონტროლის დაკარგვის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი, რომელიც არ შეიცავს ბიზნესს მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოსთან გარიგებაში და რომელიც აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით, აღიარებულია მშობლის მოგებასა ან ზარალში მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორის წილით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში. ანალოგიურად, მოგება და ზარალი, რომელიც გამოწვეულია ნებისმიერი ყოფილ შვილობილ საწარმოში შენარჩუნებული წილის ხელახალი შეფასებით (რომელიც გახდა მეკავშირე ან ერთობლივი საწარმო რომელიც აღირიცხება წილობრივი მეთოდის გამოყენებით), რეალური ღირებულებით, აღიარებულია ყოფილი მშობლის მოგებასა ან ზარალი მხოლოდ არადაკავშირებული ინვესტორის წილით მეკავშირე ან ერთობლივ საწარმოში.

ცვლილებების ძალაში შესვლის თარიღი ჯერ განსაზღვრული არ არის IASB-ის მიერ; ამასთან, დასაშვებია ცვლილებების ადრეული გამოყენება. კომპანიის დირექტორები ვარაუდობენ, რომ ამ ცვლილებების გამოყენებას გავლენა არ ექნება კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაზე მომდევნო პერიოდებში.

ცვლილებები ბასს 1-ში და ბასს 8 არსებითის განმარტება - ცვლილებები მიზნად ისახავს არსებითობის განმარტება ბასს 1-ში, უფრო ადვილად გასაგები გახდეს და მისი მიზანი არ არის შეცვალოს არსებითობის საფუძვლები ფასს-ში. ახალი განსაზღვრების ნაწილს წარმოადგენს არსებითი ინფორმაციის „დაფარვა“ არა არსებითი ინფორმაციით. მომხმარებლებზე გავლენის მოსახდენი ზღვარის არსებითობა შეიცვალა "შეიძლება გავლენა იქონიოს"-დან "გონივრულად მოსალოდნელია რომ გავლენას იქონიებს". ბასს 8-ში მოცემული არსებითობის განმარტება შეიცვალა მითითებით ბასს 1-ში მოცემული არსებითობის განმარტებასთან მითითებით. გარდა ამისა, IASB-იმ დააკორექტირა სხვა სტანდარტები და კონცეპტუალური საფუძვლები, რომელიც შეიცავს არსებითობის განმარტებას ან მოიხსენიებს

5. ახალი სტანდარტები და ინტერპრეტაციები რომელიც ჯერ არ არის ამოქმედებული (გაგრძელება)

ტერმინს „არსებითი“, რათა უზრუნველყოს თანმიმდევრულობა. ცვლილებები ძალაში შედის პერსპექტიულად, ყოველწლიური პერიოდისთვის, რომელიც იწყება 2020 წლის 1 იანვრის შემდეგ ადრეული გამოყენება დასაშვებია.

ამჟამად კომპანია ახორციელებს ფინანსურ ანგარიშგებაზე ამ ინტერპრეტაციის გავლენის შეფასებას.

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა	მაღაზიის ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა აქტივები	ლიზინგით აღებული ქონება	სულ
31 დეკემბერი 2017	92	546	1,767	62	568	1,009	2,041	6,085
შემოსვლა	-	393	344	649	52	166	143	1,747
გასვლა	-	(5)	(25)	-	(43)	(473)	(10)	(556)
31 დეკემბერი 2018	92	934	2,086	711	577	702	2,174	7,276
შემოსვლა	-	317	18	2,062	-	345	505	3,247
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივის რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	(2,679)	(2,679)
გასვლა	-	-	-	(509)	(23)	-	-	(532)
31 დეკემბერი 2019	92	1,251	2,104	2,264	554	1,047	-	7,312
დაგროვილი ცვეთა								
31 დეკემბერი 2017	(11)	(159)	(444)	(3)	(324)	(94)	(348)	(1,383)
ცვეთა	(2)	(173)	(355)	(47)	(26)	(35)	(275)	(913)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	4	-	12	-	2	18
31 დეკემბერი 2018	(13)	(332)	(795)	(50)	(338)	(129)	(621)	(2,278)
ცვეთა	(2)	(125)	(58)	(398)	(29)	(35)	(237)	(884)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	215	12	-	-	227
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივის რეკლასიფიკაცია	-	-	-	-	-	-	858	858
31 დეკემბერი 2019	(15)	(457)	(853)	(233)	(355)	(164)	-	(2,077)
ნარჩენი ღირებულება								
31 დეკემბერი 2018	79	602	1,291	661	239	573	1,553	4,998
31 დეკემბერი 2019	77	794	1,251	2,031	199	883	-	5,235

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ფასს 16-ის ძალაში შესვლის შემდგომ ლიზინგით მიღებული ქონება კლასიფიცირებულია, როგორც გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები, იხილეთ მე-7 შენიშვნა.

სრულად ამორტიზირებული ძირითადი საშუალებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 519 ლარს. (2018: 276 ლარი).

ძირითადი საშუალების ზრდა გამოწვეულია სად-ის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ინვესტიციით და ახალი მაღაზიის გახსნით.

7. გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები

კომპანიის გამოყენების უფლებით გადმოცემული აქტივები წარმოდგენილია შემდეგ კატეგორიებში:

ისტორიული ღირებულება	შენიშვნები	მაღაზიის ავეჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2019	-	-	-	-
ახალ სტანდარტზე გადასვლის ეფექტი	31,144	40	21	31,205
იჯარა, რომელიც ადრე კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა	-	1,545	-	1,545
შემოსვლა	2,295	485	10	2,790
31 დეკემბერი 2019	33,439	2,070	31	35,540
დაგროვილი ამორტიზაცია				
1 იანვარი 2019	-	-	-	-
დარიცხული ამორტიზაცია	(3,871)	(238)	(8)	(4,117)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	(3,871)	(238)	(8)	(4,117)
საბალანსო ღირებულება				
1 იანვარი 2019	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	29,568	1,832	23	31,423

მოდრაობა საკონტრაქტო ვალუტების შესაბამისად:

	აშშ დოლარი	ლარი	ჯამი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-
ახალ სტანდარტზე გადასვლის ეფექტი	31,144	61	31,205
იჯარა, რომელიც მანამდე კლასიფიცირებული როგორც ფინანსური იჯარა	1,545	-	1,545
ნაშთი 2019 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	32,689	61	32,750
შემოსვლა	281	2,509	2,790
გასვლა	-	-	-
ცვდის ხარჯი	(3,931)	(186)	(4,117)
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	29,039	2,384	31,423

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. გამოყენების უფლებით მიღებული აქტივები (გაგრძელება)

მოგება ზარალის ანგარიშგებაში აღიარებული თანხები:

	2019
გამოყენების უფლებით მიღებული აქტივების ცვეთის ხარჯი	4,117
საიჯარო ვალდებულების საპროცენტო ხარჯი	4,856
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	1,292
დაბალი ღირებულების მქონე იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	17
ცვლად იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	232
უცხოური ვალუტის კურსის ცვლილების ეფექტი	2,535
სულ	13,049

გამოყენების უფლებით გადმოცემულ შენობები წარმოადგენს სავაჭრო და სასაწყობე ფართებს, მაღაზიის ინვენტარი წარმოადგენს მაცივრებსა და დახლ-მაცივრებს.

სს თიბისი ბანკისგან გამოყენების უფლებით მიღებული აქტივებით უზრუნველყოფილია სალიზინგო ხელშეკრულებები.

8. სასაქონლო მატერიალური მარაგები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
საქონელი	11,763	12,604
ნედლეული და მასალები	780	624
დამხმარე და ტარა-შესაფუთი მასალები	206	195
მზა პროდუქცია	71	58
საწვავ-საპოხი მასალები	32	31
სხვა	852	439
სულ	13,704	13,951

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

მოკლევადიანი მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები საქონლის რეალიზაციიდან	568	664
მოთხოვნები მომსახურების გაწევიდან	2,457	1,739
მისაღები პროცენტები	477	477
სხვა მოთხოვნა	842	340
სულ მოკლევადიანი მოთხოვნები	4,344	3,220
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(1,987)	(1,832)
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები, ნეტო	2,357	1,388

გრძელვადიანი მოთხოვნები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გრძელვადიანი მოთხოვნა დაკავშირებულ მხარესთან	7,763	7,748
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(7,763)	(7,748)
სულ	-	-

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაგრძელება)

ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება საბალანსო ღირებულების იდენტურია აქტივების მოკლევადიანობიდან გამომდინარე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	მიმდინარე	90 - 180 დღე	181 - 270 დღე	271 - 360 დღე	360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	სულ
გაუფასურებაზე შეფასებული მთლიანი ღირებულება	1784	497	126	95	1,842	4,344
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(55)	(40)	(19)	(31)	(1,842)	(1,987)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	3%	8%	15%	33%	100%	46%

სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საკრედიტო ხარისხის ანალიზი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	მიმდინარე	90 - 180 დღე	181 - 270 დღე	271 - 360 დღე	360-ზე მეტი დღით ვადაგადაცილებული	სულ
გაუფასურებაზე შეფასებული მთლიანი ღირებულება	1,165	146	81	57	1,771	3,220
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(19)	(12)	(12)	(18)	(1,771)	(1,832)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	2%	8%	15%	32%	100%	57%

მოდრაობა მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვში:

31 დეკემბერი 2017	(9,647)
წლის დარიცხვა	-
რეზერვის გამოყენება	67
31 დეკემბერი 2018	(9,580)
წლის დარიცხვა	(170)
რეზერვის გამოყენება	-
31 დეკემბერი 2019	(9,750)

კომპანია იყენებს ფასს 9-ის გამარტივებულ მიდგომას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად ყველა სავაჭრო და სხვა მოთხოვნებისთვის.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესაფასებლად სავაჭრო და სხვა მოთხოვნები დაჯგუფდა საერთო საკრედიტო რისკის მახასიათებლებისა და ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

10. გაცემული ავანსები

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	425	752
მომსახურებაზე გადახდილი ავანსები	601	415
სხვა ავანსები	260	201
სულ გაცემული ავანსები	1,286	1,368
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი	(165)	-
გაცემული ავანსები, ნეტო	1,121	1,368

სს „გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტების ნაშთები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	1,431	1,118
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	24	21
ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	507	1,042
ფული სალაროში უცხოურ ვალუტაში	11	8
ბლოკირებული თანხები	660	616
სულ	2,633	2,805

კომპანიას კომერციულ ბანკების მიმდინარე ანგარიშზე ერიცხება ყოველთვიური სარგებელი 6%-ის ოდენობით თვის ბოლოს არსებულ ნაშთზე. 2019 წელს დარიცხულმა სარგებელმა შეადგინა 15 ლარი (2018: 54 ლარი)

ბლოკირებულ ანგარიშზე განთავსებულია საბანკო გარანტიის თანხები. საიჯარო ხელშეკრულებების თანახმად, კომპანიას მოეთხოვება საბანკო ანგარიშზე საგარანტიო თანხის განთავსება 50 და 180 აშშ დოლარის ოდენობით საიჯარო პერიოდის განმავლობაში.

კომპანიას არ გააჩნია დეპოზიტები კომერციულ ბანკებში. ფულადი სახსრები განთავსებულია ორ მსხვილ ქართულ კომერციულ ბანკში რომელთაც სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული აქვთ BB- რეიტინგი.

12. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს პარტნიორების შენატანებს და დაგროვილ ზარალს.

სააქციო კაპიტალი მოიცავს საწყის საწესდებო კაპიტალს 1,608 ლარის ოდენობით და 2014 წელს მიღწეულ ინვესტიციების-ის მიერ კაპიტალის შევსებას 4,072 ლარის ოდენობით.

2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის სააქციო კაპიტალი წარმოდგენილი იყო შემდეგი ფორმით:

გამოსაშვებად ნებადართული აქციების რაოდენობა	გამოშვებული და სრულად გადახდილი აქციების რაოდენობა	აქციის ნომინალური ღირებულება	სააქციო კაპიტალი
44,360	31,557	0.18 (ერთეულებში)	5,680

აქციონერები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
გლუნჩაძე დავით	5.00%	5.00%
მახათაძე გიორგი	30.00%	30.00%
ქოსაშვილი ირინე	65.00%	65.00%
	100%	100%

13. რეაბილიტაციის ვალდებულება

2013 წლის 20 სექტემბერს სს „გუდვილმა“ განცხადებით მიმართა სასამართლოს გადახდისუნარიობის საქმის წარმოების დაწყების მოთხოვნით. აღნიშნული განცხადება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ წარმოებაში იქნა მიღებული იმავე წლის 24 სექტემბერს. ხოლო 2014 წლის 30 იანვარს კრედიტორთა კრებაზე დამტკიცდა 2014 წლის 13 იანვრის მომრიგებელი საბჭოს გადაწყვეტილება სს „გუდვილის“ მიმართ რეაბილიტაციის განხორციელების პროცედურის დაწყების შესახებ.

13. რეაბილიტაციის ვალდებულება (გაგრძელება)

მენეჯმენტის შეფასებით, რეაბილიტაციის ვალდებულებების გადახდის არსებული გეგმა, არ იძლეოდა ბიზნესის განვითარების და გამართული საოპერაციო საქმიანობისთვის საჭირო კაპიტალური დანახარჯების გაკეთების საშუალებას. აქედან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტმა შეძლო დაერწმუნებინა კრედიტორთა საბჭო ვალდებულების დაფარვის მომავალ გრაფიკში ცვლილებების შეტანაზე. შედეგად, 2019 წელს განხორციელებული ცვლილებების შედეგად რეაბილიტაციის ვალდებულებების გადახდის დასრულების პერიოდი გაიზარდა 2025 წლამდე. თუმცა ახალი კორონავირუსის პანდემიის გავრცელების გამო კომპანიამ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილებები კიდევ ერთხელ 2020 წელს განხორციელა. დეტალური ინფორმაცია მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

2019 წლის 19 აპრილს რეაბილიტაციის მმართველის შპს „ბიზნეს ქეარ კორპორეიშნის“ დირექტორის ნოდარ პაპუკაშვილის მიერ წარმოდგენილი განცხადების საფუძველზე მოწვეულ იქნა კრედიტორთა კრება, სადაც დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი იყო სს „გუდვილის“ რეაბილიტაციის გეგმაში ცვლილება-დამატებების შეტანა. 2019 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით სს „გუდვილის“ სრულად ქონდა შესრულებული რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული გადახდები, ხოლო მეორე კვარტლიდან კრედიტორების დაკმაყოფილება არსებული გეგმით მიიჩნეულ იქნა შეუძლებელად და შესაბამისად გადაწყდა რეაბილიტაციის გეგმის ცვლილება.

2019 წლის 24 მაისს დანიშნულ კრედიტორთა კრებაზე რეაბილიტაციის მმართველმა კრედიტორებს გააცნო რეაბილიტაციის გეგმა ცვლილებით. კრედიტორთა კრებაზე საკითხი დადგა კენჭისყრაზე. წარმოდგენილმა კრედიტორებმა სრულად დაუჭირეს მხარი, რეაბილიტაციის გეგმის ცვლილებას.

რეაბილიტაციის გეგმა 2019 წლის ცვლილებამდე:

	2019	2020	2021	2022
გადახდები ძველი გრაფიკის მიხედვით	5,526	5,526	5,526	5,565

2019 წლის გეგმის მიხედვით ვალდებულებების დაფარვა უნდა მომხდარიყო 2025 წლის ბოლომდე, კომპანიის მიერ მიღებული ყოველწლიური ფინანსური (IFRS) მოგების 60%-ით, მაგრამ არანაკლებ შემდეგი გრაფიკით გათვალისწინებული გადახდებისა:

მინიმალური გადახდები ახალი

გრაფიკით	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025
VI რიგი	620*	2,000	2,500	3,000	3,500	4,000	2,359
VII რიგი	-	-	-	-	-	-	2,377

*2019 წელი წარმოდგენილია პირველ კვარტალში განხორციელებული გადახდების გარეშე

2019 წლის 24 მაისს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დაადგინა, 2019 წლის 24 მაისის კრედიტორთა გადაწყვეტილებით დამტკიცებულიყო სს „გუდვილის“ რეაბილიტაციის გეგმის ცვლილება, რის შემდეგაც კომპანიამ აიღო პასუხისმგებლობა რომ მომავალი გადახდები წარემართა ახალი რეაბილიტაციის გეგმით.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სრულად ქონდა დაფარული რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული მიმდინარე გადასახდელები.

2019 წელს ფულადი სახსრებით დაფარულია 2,297 ლარის მოცულობის რეაბილიტაციის ვალდებულება, ხოლო 87 ლარი ჩაიხურა სავაჭრო მოთხოვნებთან.

ახალი კორონავირუსით გამოწვეული პანდემიის უარყოფითი ეფექტის გამო, აღნიშნული გეგმა 2020 წლის 29 ივნისის დამატებით დაკორექტირდა, რის შედეგადაც 2020 წლის პირველი კვარტლის შემდგომ, 2021 წლამდე შეწყდა ვალდებულებების დაფარვა, დეტალური ინფორმაცია მოცემულია 30-ე შენიშვნაში.

14. საიჯარო ვალდებულებები

კომპანიას გაფორმებული აქვს იჯარის ხელშეკრულებები ძირითადად მაღაზიებისთვის უძრავი ქონების ქირაობაზე, რასაც იყენებს ძირითად საქმიანობაში. ზოგიერთი იჯარის ხელშეკრულება შეიცავს ვადის გაგრძელების და შეწყვეტის უფლებას და ცვალებად საიჯარო გადახდებს, რომლებიც უფრო დაწვრილებით განხილულია ქვემოთ.

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. საიჯარო ვალდებულებები (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	აშშ დოლარი	ლარი	სულ
ნაშთი 1 იანვრის მდგომარეობით (საწყისი აღიარება)	31,144	61	31,205
იჯარა, რომელიც მანამდე კლასიფიცირებული იყო როგორც ფინანსური იჯარა	1,340	-	1,340
შემოსვლა	281	2,336	2,617
საპროცენტო ხარჯი	4,493	363	4,856
იჯარასთან დაკავშირებული ვალდებულების დაფარვა	(6,790)	(307)	(7,097)
საკურსო სხვაობა	2,535	-	2,535
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	33,003	2,453	35,456
საიჯარო ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი	7,248	851	8,099
საიჯარო ვალდებულებების გრძელვადიანი ნაწილი	25,755	1,602	27,357

საიჯარო ვალდებულებები წლების მიხედვით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	1 წლამდე	1 დან 3 წლამდე	3 წელი და მეტი	სულ
საიჯარო გადახდები	8,099	8,320	19,037	35,456
საპროცენტო ხარჯი	2,000	4,265	2,880	9,145
სულ საიჯარო ვალდებულებები	10,099	12,585	21,917	44,601

ინფორმაცია მოგება-ზარალში აღიარებულ თანხებზე მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

კომპანია იყენებს გამარტივებულ მიდგომას და მოკლევადიან (იჯარები რომელთა პერიოდი 12 თვეზე ნაკლებია) და დაბალი ღირებულების მქონე იჯარებს არ აღიარებს როგორც საიჯარო ვალდებულებებს. ამგვარი იჯარების ხარჯი აღიარდება წრფივი მეთოდით იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარები ცვლადი გადახდებით აღიარებას განაგრძობს როგორც იჯარის ხარჯი.

ხარჯები, რომლებიც არ არის კლასიფიცირებული იჯარად წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019
მოკლევადიან იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	1,292
დაბალი ღირებულების მქონე იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	17
ცვლად იჯარასთან დაკავშირებული ხარჯები	232
მთლიანი არადისკონტირებული იჯარები	1,541

2019 წელს ფინანსური ხარჯი ასევე მოიცავს სესხებზე დარიცხულ პროცენტს და სხვა ფინანსურ ხარჯებს, ჯამში 4,914 ლარის ოდენობით. (2018: 286)

15. საგადასახადო ვალდებულებები

2016 წლის 1 იანვარიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე. შესაბამისად, საგადასახადო აქტივი და ვალდებულება წარმოდგენილია ნეტო თანხით.

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილებები შევიდა მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან და ვრცელდება საქართველოში მოქმედ ყველა კომპანიაზე, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, რომლებისთვისაც შემოღებულია ძალაში შესვლის განსხვავებული თარიღი. ახალი ნორმატიული აქტის თანახმად, მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. საგადასახადო ვალდებულებები (გაგრძელება)

ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა არსებული ნორმატიული აქტების შესაბამისად. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. კომპანიებს უფლება აქვთ ჩაითვალონ 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდების განაწილება არ დაიბეგრება მოგების გადასახადით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში ზემოაღნიშნული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგრა სცდება მოგების გადასახადის მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

16. მიღებული სესხები

მიღებული სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

სესხის გამცემი	ვალუტა	საპროცენტო განაკვეთი	დაფარვის წელი	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
ადგილობრივი ფინანსური ინსტიტუტები	აშშ. დოლარი	9.1%	2019	-	263
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					729
დარიცხული პროცენტი					46
გადახდილი ძირი თანხა					(466)
გადახდილი პროცენტი					(46)
2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					263
დარიცხული პროცენტი					6
გადახდილი ძირი თანხა					(263)
გადახდილი პროცენტი					(6)
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით					-

17. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

კომპანიის სავაჭრო და სხვა ვალდებულებები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო ვალდებულებები საქონლის რეალიზაციიდან	23,202	19,125
მოკლევადიანი იჯარის ვალდებულებები	2,647	2,963
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულ მხარესთან	-	857
სხვა	48	35
სულ	25,897	22,980

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

18. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან

შემოსავლის სახე:	2019	2018
საცალო რეალიზაცია	138,393	123,648
შემოსავალი მარკეტინგული აქტივობებიდან	3,351	3,514
ქეითერინგული მომსახურებიდან	1,064	887
შემოსავალი აგენტის მომსახურებიდან	692	-
სულ	143,500	128,049

საცალო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავალი ტიპების მიხედვით:

	2019	2018
ფიზიკურ პირებზე რეალიზაცია	113,214	114,986
ამონაგები სასაქონლო საფუძვლების დაწესებულებებში განთავსებული მალაზიებიდან	19,684	3,078
იურიდიული პირებზე რეალიზაცია	5,495	5,584
ჯამი	138,393	123,648

2018 წლის 22 ოქტომბერს პენიტენციურ სამსახურთან გაფორმებული კონტრაქტის საფუძველზე კომპანიამ აიღო ვალდებულება, რომ მოეწყო პენიტენციური დაწესებულებების ტერიტორიაზე მალაზიები, რომლებშიც წარმოდგენილი იქნებოდა სავალდებულო წესით სტანდარტული საქონელი წინასწარ შეთანხმებული ნომენკლატურიდან. ამასთან, კომპანია უზრუნველყოფს არასტანდარტულ პროდუქციაზე მოთხოვნის დაკმაყოფილებას შესაბამისი პენიტენციური დაწესებულების თანხმობის შემთხვევაში. კომპანია ასეთ ობიექტებში რეალიზაციიდან შემოსავალს აღიარებს იგივე პრინციპით როგორც მომხმარებლებთან გაფორმებული სხვა კონტრაქტებიდან.

დეზაგრეგირებული ინფორმაცია საცალო ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების შესახებ:

	2019	2018
საკუთარი წარმოება	14,878	16,485
რძის პროდუქტები	14,035	14,128
საკონდიტრო ნაწარმი	13,639	10,196
სიგარეტი	12,544	4,656
ხილ-ბოსტნეული	10,998	9,687
ხორცის პროდუქტები	9,025	8,554
ალკოჰოლური სასმელები	8,859	8,870
ბაკალეა	8,434	6,726
უალკოჰოლო სასმელები	7,017	5,952
ყავა, ჩაი	5,369	4,150
დასუფთავების საშუალებები	5,016	5,061
ჰიგიენის საშუალებები	4,954	4,505
მარშეს პროდუქცია	4,197	3,805
ზღვის პროდუქტები	3,287	2,129
პური	2,711	1,604
მცირეფასიანი ინვენტარი	1,084	1,065
სხვა	12,346	16,075
ჯამი	138,393	123,648

18. შემოსავალი მომხმარებლებთან გაფორმებული კონტრაქტებიდან (გაგრძელება)

ინფორმაცია სახელშეკრულებო მოთხოვნა/ვალდებულებებზე:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო მოთხოვნები (შენიშვნა 9)	3,025	2,403
სახელშეკრულებო ვალდებულებები	(1,186)	(1,253)
სახელშეკრულებო ვალდებულებები (საბარათე პროგრამით წარმოქმნილი ბონუს ქულები)	(220)	(232)
დაბრუნების ვალდებულებები	(48)	(48)
აქტივების დაბრუნების უფლება	37	37

სავაჭრო მოთხოვნებს არ ერიცხება პროცენტი, ჩვეულებრივ მათი შეგროვების პერიოდი არის 90 დღემდე.

საკონტრაქტო ვალდებულებები მოიცავს მოკლევადიან მომხმარებლისგან მიღებულ ავანსებს.

დაბრუნების უფლებით გაყიდულ აქტივებზე ხდება დაბრუნებისა და ფულადი სახსრების დაბრუნებასთან დაკავშირებული ვალდებულების შეფასება. შეფასება ეფუძნება წარსულ გამოცდილებას.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საკონტრაქტო ვალდებულებისა და აქტივის დაბრუნების უფლების ცვლილება არ იყო მატერიალური, შესაბამისად მიმდინარე შეფასებას ნაშთზე გავლენა არ მოუხდენია.

19. საცალო რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლის თვითღირებულება

საცალო რეალიზაციიდან მიღებული ამონაგების თვითღირებულება მოიცავს საქონლის და ნედლეულის შესყიდვის ხარჯს და საკუთარი წარმოების პროდუქციის დამზადებისთვის გაწეულ პირდაპირ დანახარჯებს.

20. რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები

რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასები	(7,634)	(5,782)
ცვეთის ხარჯი	(4,117)	-
კომუნალური ხარჯები	(3,295)	(2,796)
ტარა შესაფუთი მასალის ხარჯი	(1,625)	(1,625)
იჯარის ხარჯი	(1,541)	(7,740)
მარკეტინგული დანახარჯები	(719)	(639)
დასუფთავების ხარჯები	(620)	(655)
ტრანსპორტირების ხარჯი	(403)	(286)
სხვა დანახარჯები	(73)	(40)
სულ	(20,027)	(19,563)

იჯარის ხარჯი 2019 წელს აღრიცხული და განხილულია ახალი სტანდარტის ფასს 16 იჯარის მიხედვით, რის შედაგადაც კონტრაქტების ნაწილი, რომელიც სტანდარტის შესაბამისად აკმაყოფილებდა იჯარის განმარტებას აღიარებულია როგორც აქტივის გამოყენების უფლების ცვეთა, რომლის შესადაარისი ინფორმაცია წარმოდგენილია იჯარის ხარჯში. იხილეთ მე-7 და მე-14 განმარტებითი შენიშვნა.

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2019	2018
ხელფასები	(4,330)	(4,109)
ტერმინალის და ბანკის სხვა მომსახურების საკომისიო	(1,210)	(949)
ცვეთა და ამორტიზაცია	(656)	(922)

21. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები (გაგრძელება)

	2019	2018
საკონსულტაციო ხარჯები	(546)	(435)
დაზღვევის ხარჯი	(407)	(367)
კომუნიკაციის ხარჯები	(288)	(263)
IT მომსახურების ხარჯები	(196)	(191)
გადასახადები	(149)	(131)
ობიექტების ტექნიკურ და მომსახურებასთან დაკავშირებული ხარჯები	(108)	(48)
სხვა ხარჯები	(543)	(577)
სულ	(8,433)	(7,992)

22. სხვა საოპერაციო შემოსავალი

	2019	2018
შემოსავალი ქვეიჯარებიდან	1,769	1,350
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნის რეზერვში	-	67
სხვა	167	221
სულ	1,936	1,638

23. სხვა საოპერაციო ხარჯი

	2019	2018
მიმდინარე რემონტის დანახარჯები	(461)	(301)
სავაჭრო მოთხოვნის რეზერვი	(610)	-
სხვა საოპერაციო ზარალი	(362)	(213)
სულ	(1,433)	(514)

24. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. საკუთარი შეფასების საფუძველზე, აგრეთვე შიდა და გარე პროფესიული კონსულტაციების საფუძველზე, მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ არანაირი არსებითი დანაკარგი არ იქნება გამოწვეული მიმდინარე სასამართლო დავების შედეგად.

25. ფინანსური რისკების მართვა

კომპანიაში რისკის მართვის ფუნქციის შესრულება ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და იურიდიულ რისკებთან მიმართებით. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (სავალუტო, საპროცენტო და სხვა ფასის რისკი), საკრედიტო რისკს და ლიკვიდურობის რისკს. ფინანსური რისკის მართვის ფუნქციის ძირითადი მიზნებია რისკის ზღვრების დადგენა და შემდეგ იმის უზრუნველყოფა, რომ რისკები აღნიშნულ ზღვრებში დარჩეს. საოპერაციო და იურიდიული რისკების მართვის ფუნქციები გამიზნულია იმის უზრუნველყოფისათვის, რომ

25. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

სათანადოდ ფუნქციონირებდეს შიდა პოლიტიკა და პროცედურები, რათა მინიმუმამდე შემცირდეს შესაბამისი რისკები.

კომპანიის ძირითად ფინანსურ ვალდებულებებს წარმოადგენს რეაბილიტაციის ვალდებულებები, საიჯარო ვალდებულებები და სავაჭრო კრედიტორული დავალიანება. რეაბილიტაციის ვალდებულებების დაფარვა დამტკიცებულია კრედიტორთა კრების მიერ დამტკიცებული გრაფიკის მიხედვით, იხილეთ მე-13 შენიშვნა. კომპანიას ასევე აქვს საქონლის მიწოდებიდან და მომსახურების გაწევიდან წარმოშობილი სავაჭრო დებიტორული მოთხოვნა და ფულადი სახსრები.

კომპანიის ფინანსური აქტივები და ვალდებულებები:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,357	1,388
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	2,633	2,805
სულ ფინანსური აქტივები	4,990	4,193
ფინანსური ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,897	22,980
მიღებული სესხები	-	263
რეაბილიტაციის ვალდებულებები	20,161	22,458
საიჯარო ვალდებულებები	35,456	1,341
საკონტრაქტო ვალდებულებები	48	48
სულ ფინანსური ვალდებულებები	81,562	47,090

საკრედიტო რისკი

კომპანიას გააჩნია საკრედიტო რისკი, რომელიც წარმოადგენს რისკს, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ერთ-ერთი მხარე გამოიწვევს ფინანსურ ზარალს მეორე მხარისათვის თავისი მოვალეობის შეუსრულებლობით. საკრედიტო რისკი წარმოიქმნება ფინანსური აქტივებიდან, რომელიც მოიცავს ფულს საბანკო ანგარიშებზე და სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულება წარმოადგენს მაქსიმალურ საკრედიტო რისკს. საკრედიტო რისკის მაქსიმალური ოდენობა, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური აქტივები	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,357	1,388
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	2,633	2,805
სულ ფინანსური აქტივები	4,990	4,193

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული FMCG სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამისი პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

25. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოიშვება მომწოდებლებთან და პროდუქციის მწარმოებლებთან სხვადასხვა მარკეტინგული მომსახურების გაწევით. ასეთ მომსახურებებზე ძირითადად შეთავაზებულია შემდგომი გადახდის პირობა 30 დან 90 დღემდე. გამომდინარე იქიდან, რომ მომსახურების მიმღები კომპანიები ძირითადად არიან კრედიტორები, რომელთა მიმართ კომპანიას გააჩნია სავაჭრო და რეაბილიტაციის ვალდებულებები, დროული მართვის გარდა საკმარისი ბერკეტები პრობლემის დროული იდენტიფიცირებისა და რეაგირებისთვის. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ასევე წამოიშვება ქვეიჯარებიდან, ქვითერინგული მომსახურებიდან, აგენტის საკომისიოდან და ასევე კორპორატიული გაყიდვებიდან. კომპანიას დადგენილი აქვს ლიმიტები კორპორატიული კლიენტებისთვის,

კომპანია იყენებს რეზერვების მატრიცას რომ იანგარიშოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე. ანარიცხის განაკვეთები ეფუძნება მსგავსი გაუფასურების ინდიკატორების მქონე მოთხოვნების ერთობლიობას დაჯგუფებულს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

რეზერვების მატრიცა ეყრდნობა კომპანიის ისტორიული დანაკარგების განაკვეთებს, რაც კორექტირდება საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) ინფორმაციის შესაბამისად. ისტორიულ განაკვეთებს, ეკონომიკის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ECL-ს შორის უერთიერთკავშირის შეფასება მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას წარმოადგენს. კომპანიის ისტორიული საკრედიტო დანაკარგებით და ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებით შეფასებული ანარიცხები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ზარალისგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტის ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

სავალუტო რისკის ზეგავლენა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:

ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,357	-	-	2,357
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	2,598	35	-	2,633
სულ ფინანსური აქტივები	4,955	35	-	4,990
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,897			25,897
რეაბილიტაციის ვალდებულებები	18,125	247	1,789	20,161
საიჯარო ვალდებულებები	2,453	33,003		35,456

სს “გუდვილი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

25. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

საკონტრაქტო ვალდებულებები	48			48
სულ ფინანსური ვალდებულებები	46,523	33,250	1,789	81,562
სავალუტო რისკის ზეგავლენა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოცემულია შემდეგ ცხრილში:				
ფინანსური აქტივები	ლარი	დოლარი	ევრო	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,388			1,388
ფული და ფულის ეკვივალენტები	2,776	29		2,805
სულ ფინანსური აქტივები	4,164	29	-	4,193
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,980			22,980
მიღებული სესხები	-	263		263
რეზილიტაციის ვალდებულებები	20,495	240	1,723	22,458
საიჯარო ვალდებულებები	-	1,341		1,341
საკონტრაქტო ვალდებულებები	48			48
სულ ფინანსური ვალდებულებები	43,523	1,844	1,723	47,090

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მოგება-ზარალის სენსიტიურობა საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს სავალუტო კურსების გონივრულად შესაძლებელი ცვლილებებისადმი კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტასთან მიმართებით, როდესაც დანარჩენი ცვლადები რჩება უცვლელი:

	31 დეკემბერი 2019	31 დეკემბერი 2018
აშშ დოლარის გამყარება 20%-ით	(6,650)	(363)
აშშ დოლარის გაუფასურება 20%-ით	6,650	363
ევროს გამყარება 20%-ით	(358)	-
ევროს გაუფასურება 20%-ით	358	-

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით სავალუტო რისკი არ წარმოადგენს კომპანიის მნიშვნელოვან ბიზნეს რისკ ფაქტორს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი. საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი, რადგან არ სარგებლობს სასესხო პროდუქტებით.

ლიკვიდურობის რისკი

ლიკვიდურობის რისკი წარმოიშობა საბრუნავი კაპიტალის ეფექტურ მართვასთან დაკავშირებით. რისკი მდგომარეობს იმაში, რომ კომპანია შეიძლება წააწყდეს სირთულეებს ვალდებულებების დაფარვისას მათი გადახდის ვადის დადგომის პერიოდში. ლიკვიდურობის რისკის მართვას ხელმძღვანელობა ახორციელებს კომპანიის ფულადი ნაკადების მცოცავი პროგნოზის ყოველთვიური მონიტორინგით.

ფულადი ნაკადების მოძრაობის პროგნოზირება ხორციელდება საოპერაციო ერთეულების დონეზე, აგრეგირებული მოსალოდნელი შედეგების გათვალისწინებით. ასეთი პროგნოზი ითვალისწინებს ასევე რეფინანსირების გეგმებს. ფინანსური განყოფილება მონიტორინგს უწევს ლიკვიდობის მართვას მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში, რომ უზრუნველყოს საკმარისი ფულის ქონა საკუთარი საოპერაციო მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად და დაიტოვოს საკმარისი არეალი იმისათვის, რომ არ დაარღვიოს სესხების ლიმიტები.

25. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ქვემოთ, ცხრილში მოყვანილია ვალდებულებები, რომლებიც დაჯგუფებულია მათი დარჩენილი სახელშეკრულებო ვადების მიხედვით. გადახდა უცხოურ ვალუტაში გამოითვლება საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის არსებული სავალუტო სპოტ-კურსის მიხედვით.

ქვემოთ მოყვანილ ცხრილში ნაჩვენებია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების მთლიანი თანხა საბალანსო ღირებულებებით, დაჯგუფებული დაფარვის ვადების მიხედვით:

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

ფინანსური აქტივები	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,357	-	-	2,357
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	2,633	-	-	2,633
სულ ფინანსური აქტივები	4,990	-	-	4,990
ფინანსური ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	25,897	-	-	25,897
რეაბილიტაციის ვალდებულებები	2,000	9,000	9,161	20,161
საიჯარო ვალდებულებები	8,099	8,320	19,037	35,456
საკონტრაქტო ვალდებულებები	48	-	-	48
სულ ფინანსური ვალდებულებები	36,044	17,320	28,198	81,562

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	1 წლამდე	1 წლიდან 3 წლამდე	3 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,388	-	-	1,388
ნაღდი ფული და ფულის ეკვივალენტები	2,805	-	-	2,805
სულ ფინანსური აქტივები	4,193	-	-	4,193
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,980	-	-	22,980
მიღებული სესხები	263	-	-	263
რეაბილიტაციის ვალდებულებები	2,763	7,500	12,195	22,458
საიჯარო ვალდებულებები	1,341	-	-	1,341
საკონტრაქტო ვალდებულებები	48	-	-	48
სულ ფინანსური ვალდებულებები	27,347	7,500	12,195	47,090

რეაბილიტაციის ვალდებულებების დაფარვა დამტკიცებულია კრედიტორთა კრების მიერ დამტკიცებული წესის მიხედვით რაც გულისხმობს დავალიანების დაფარვას წლის შედეგის მიხედვით და არ აქვს სავალდებულო მინიმალური გადახდები, რაც კომპანიას შეუქმნიდა ლიკვიდობის პრობლემას.

მიმდინარე ფინანსურ ვალდებულებებიდან სავაჭრო ვალდებულებები დაკავშირებულია მაღაზიებში განთავსებულ საქონელთან, მომწოდებლების დავალიანება იფარება შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად, თუმცა კომპანიას აქვს ვადადამდგარი დავალიანებები, რომლებიც წლის განმავლობაში შეიცვალა 76 ლარით. (2019: 5,938 ლარი; 2018: 5,206 ლარი).

საიჯარო ვალდებულებები დაკავშირებულია ფასს 16-ის შესაბამისად დარიცხულ ვალდებულებასთან და წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულებების შესაბამისად მომავალ პერიოდებში გადასახდელ თანხებს.

რეალური ღირებულება

ყველა ფინანსური აქტივი და ვალდებულება, რომლებიც წარდგენილია რეალური ღირებულებით შეფასებულია რეალური ღირებულების იერარქიის მესამე დონეზე.

კაპიტალის მართვა

კომპანიის მიზნები კაპიტალის მართვისას შემდეგში მდგომარეობს:

25. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- უზრუნველყოს ფუნქციონირებადი საწარმოს შენარჩუნების უნარი, ისე რომ არ შეწყვიტოს მფლობელებისთვის სარგებლის მოტანა; და
- გამოიმუშაოს აქციონერებისათვის სარგებელი მისაღები რისკის დონის შეფასებით და შენარჩუნებით. კომპანია განსაზღვრავს კაპიტალის სიდიდეს რისკის პროპორციულად. კომპანია მართავს კაპიტალის სტრუქტურას ეკონომიკური მდგომარეობის ცვლილებებისა და ძირითადი აქტივებისათვის მახასიათებელი რისკების გათვალისწინებით.

26. ფინანსური ინსტრუმენტების რეალური ღირებულება

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალური ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას. როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური ან მოკლევადიანობით (თორმეტ თვეზე ნაკლები) ხასიათდება, მათ რეალური ღირებულებას უახლოვდება.

ფიქსირებულგანაკვეთიანი სესხების რეალური ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

27. არაფულადი ოპერაციები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის განმავლობაში კომპანიას არ ქონია არსებითი არაფულადი ოპერაციები.

28. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2019	2018
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასი	1,419	616

29. ფინანსური ანგარიშგების გამოსაცემად დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად დატკიცდა 2020 წლის 11 დეკემბერს მენეჯმენტის/სამეთვალყურეო საბჭოს მიერ საწარმოს მესაკუთრეებს ან სხვებს არ აქვთ უფლებამოსილება, ფინანსურ ანგარიშგებაში შეიტანონ დამატებები და ცვლილებები მისი გამოცემის შემდეგ.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ, კორონავირუსის პანდემიის შედეგად მიღებულ ეკონომიკური საქმიანობის ამჟამინდელ შენელებაზე და მის ფინანსურ ზემოქმედებაზე სუბიექტის სამომავლო პერსპექტივების მიმართ.

კორონავირუსის პანდემიამ მთელ მსოფლიოში მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა ადამიანის ცხოვრებაზე, რაც ხელს უშლის ლოგისტიკური ჯაჭვების წარმოქმნას, ამცირებს ეკონომიკას და შესაბამისად საერთო მოთხოვნას. ამასთანავე იზრდება რისკის შეუფასებლობა და გაურკვევლობა მომავლის შესახებ. იმის გათვალისწინებით, რომ ბოლო დროინდელი საშინაო და გლობალური მოვლენები ვირუსის შედეგად არის გამოწვეული, კომპანიის მენეჯმენტმა განიხილა და ხელახლა შეაფასა სამომავლო რისკები. დღეისათვის, ამ კრიზისის გავლენა FMCG სექტორზე და ზოგადად ქვეყნის ეკონომიკაზე არის უარყოფითი, ხოლო ახლო მომავალი ბუნდოვანი და რთულად პროგნოზირებადი. პანდემიის შედეგად კომპანიას შეუმცირდა როგორც საცალო გაყიდვები ასევე მარჟა და შემოსავალი სხვა საოპერაციო საქმიანობიდან.

30. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები (გაგრძელება)

კომპანია არ განიხილავს COVID-19- ს ფინანსური ანგარიშგების მაკორექტირებელ მოვლენად და შესაბამისად გავლენა არ არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში. პანდემიას არ ქონია უშუალო გავლენა კომპანიის საქმიანობაზე

თუმცა მნიშვნელოვნად გაართულა თანამშრომლების უსაფრთხოების უზრუნველყოფა და მათი ტრანსპორტირება სამუშაო ადგილებამდე. კომპანია პანდემიის გამო სპეციალური ზომების მიღებისთანავე იცავს დაწესებულ მოთხოვნებს და რეკომენდაციებს რათა უზრუნველყოფილი იყოს თანამშრომლების და მომხმარებლების უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.

2020 წლის პირველი კვარტლის ჩათვლით სს "გუდვილმა" სრულად შეასრულა რეაბილიტაციის გეგმით გათვალისწინებული გადახდები.

2020 წლის მეორე კვარტლიდან კრედიტორების დაკმაყოფილება არსებული გეგმით მენეჯმენტის შეფასებით შეუძლებელი იყო. კერძოდ, კორონავირუსის პანდემიით ბიზნეს სუბიექტებზე გამოწვეული ნეგატიური ეფექტების გათვალისწინებით, კომპანიის ხელმძღვანელობამ მიმართა რეაბილიტაციის მმართველს გეგმის ცვლილების თაობაზე. სასამართლოს გადაწყვეტილებით გეგმის ცვლილება განხორციელდა 2020 წლის 17 ივნისს. ვინაიდან, მნიშვნელოვნად იყო შემცირებული კომპანიის შემოსავლები, სასამართლო დადგენილებით შეიცვალა გადახდის გრაფიკი და პრინციპი. კერძოდ, ვალდებულების დაფარვა დაიწყება 2021 წლიდან და კვლავ განხორციელდება ფინანსური გეგმის მიხედვით წინა საანგარიშო წელს მიღებული ფინანსური (IFRS) წმინდა მოგების შესაბამისად, საიდანაც 60%-ით დაიფარება კრედიტორების მიმართ არსებული დავალიანება. ამასთანავე თუ წინა წლის საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული Net Cash Flow ნაკლებია წინა წლის ფინანსური მოგების 60%-ზე, მაშინ ვალდებულების დაფარვისათვის ხელმისაწვდომი თანხა განისაზღვრება არა ფინანსური მოგების 60%-იდან, არამედ საოპერაციო საქმიანობიდან გენერირებული წინა წლის Net Cash Flow-ს 60%-დან. თუმცა, წლის ჭრილში გადასახდელი თანხა გადახდილ იქნება კვარტლების მიხედვით შემდეგი პროპორციით: პირველ კვარტალში წლიური გადასახდელი თანხის 10%; მე-2 კვარტალში 15%; მესამე კვარტალში 25% და მე-4 კვარტალში 50%. ამასთან, გეგმიდან ამოღებულია ყოველწლიურად მინიმალური გადასახდელების შესრულების ვალდებულება. 2020 წელს განახლებული რეაბილიტაციის გეგმის დამტკიცებით, ძალადაკარგულად (გაუქმებულად) ითვლება 2019 წელს დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმა.

2020 წლის პირველ კვარტალში ფულადი საშუალებებით დაფარულია 205 ლარის რეაბილიტაციის ვალდებულება, ხოლო 133 ლარის ოდენობის ვალდებულება ურთიერთჩათვლილია სავაჭრო მოთხოვნებთან.

2020 წელს კომპანია გამოვიდა იჯარით აღებული ორი ობიექტიდან. კერძოდ, ერთი მდებარეობდა ბათუმში, ხოლო მეორე გორთან ავტომაგისტრალზე.

სს „გუდვილი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ

სს გუდვილი (შემდგომში „კომპანია“) არის სააქციო საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის დირექტორია გიორგი ხაბაშვილი, დირექტორს ნიშნავს სამეთვალყურეო საბჭო. სამეთვალყურეო საბჭო წარმოდგენილია 3 წევრით: გიორგი შევარდნაძე, გიორგი მახათაძე და არმაზ თავაძე. გამომდინარე იქიდან, რომ კომპანია იმყოფება რეაბილიტაციის რეჟიმში კომპანიას ერთობლივად მართავენ დირექტორი და რეაბილიტაციის მმართველი. მათ შორის გამიჯნულია უფლებამოსილებები 2014 წლის 17 თებერვლის სასამართლოს განჩინებით.

კომპანიის საქმიანობის სახე და ძირითადი სამოქმედო ბაზრები:

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მსხვილი ჰიპერმარკეტების/სუპერმარკეტების ფუნქციონირება საქართველოს მასშტაბით და შემოსავლების გენერირება როგორც სადისტრიბუციო კომპანიებიდან მიღებული, ასევე საკუთარი წარმოების მზა პროდუქციის რეალიზაციით.

კომპანია ასევე იღებს შემოსავალს ქეითერინგული მომსახურებით, კაფეტერიებში სარესტორნო მომსახურების გაწევით, სასაქონლო-საწვავის დაწესებულებების კვებითი მომსახურებით, სავაჭრო დარბაზებში მარკეტინგული აქტივობებით და ქვეიჯარებით.

კომპანიის შემოსავლები ძირითადი მიმართულებების მიხედვით არის შემდეგი:

	2019
შემოსავალი საცალო ვაჭრობიდან	138,393
შემოსავალი სარეკლამო და მარკეტინგული მომსახურებიდან	3,351
შემოსავალი ქეითერინგული მომსახურებიდან	1,064
შემოსავალი აგენტის მომსახურებიდან	692
შემოსავალი კომერციული ფართების იჯარიდან	1,769
სულ	145,269

არსებული პროდუქტები და მომსახურება, ბიზნეს პროცესები და სადისტრიბუციო მეთოდები.

კომპანია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილი იყო 5 ჰიპერმარკეტითა და 3 სუპერმარკეტით. ჰიპერმარკეტად განიხილება მაღაზია რომლის სავაჭრო ფართი აღემატება 1,000 კვადრატულ მეტრს.

კომპანიის გაყიდვების დიდი ნაწილი მოდის თბილისზე (80%). მაღაზიების მომარაგება ხორციელდება დისტრიბუტორების მიერ ან ცენტრალური საწყობიდან. კომპანიას არ აქვს ცენტრალური შესყიდვების და ლოჯისტიკის სრულყოფილი სისტემა, თუმცა პროდუქციის გარკვეული ნაწილის მომარაგება ხორციელდება ცენტრალური საწყობიდან. კომპანიას არ აქვს საბითუმო გაყიდვის წერტილები. ცენტრალური საწყობი და ლოჯისტიკური ცენტრი ადმინისტრაციულ შენობასთან ერთად მდებარეობს შემდეგ მისამართზე - ქ. თბილისი, ფარნავაზ მეფის ქ. #40.

ამონაგები საცალო ვაჭრობიდან კატეგორიების მიხედვით:

ჯგუფი	2019	2018	ცვლილება %
გუდვილის პროდუქცია	14,878	16,485	(10%)
რძის პროდუქტები	14,035	14,128	(1%)
საკონდიტრო ნაწარმი	13,639	10,196	34%
სიგარეტი	12,544	4,656	169%
ხილ-ბოსტნეული	10,998	9,687	14%
ხორცის პროდუქტები	9,025	8,554	6%
ალკოჰოლური სასმელები	8,859	8,870	0%
ბაკალეა	8,434	6,726	25%
უალკოჰოლო სასმელები	7,017	5,952	18%

1. ინფორმაცია კომპანიის შესახებ (გაგრძელება)

ჯგუფი	2019	2018	ცვლილება %
ყავა, ჩაი	5,369	4,150	29%
დასუფთავების საშუალებები	5,016	5,061	(1%)
ჰიგიენის საშუალებები	4,954	4,505	10%
მარშეს პროდუქცია	4,197	3,805	10%
ზღვის პროდუქტები	3,287	2,129	54%
პური	2,711	1,604	69%
მცირეფასიანი ინვენტარი	1,084	1,065	2%
სხვა	12,346	16,075	(23%)
სულ	138,393	123,648	

რეაბილიტაციის რეჟიმი და კომპანიის მმართველობის სტრუქტურა

კომპანიის გენერალური დირექტორი 2019 წლის 1 იანვრიდან ანგარიშგების მომზადებამდე პერიოდში იყო გიორგი ხაბაშვილი. წესდების მიხედვით დირექტორს ნიშნავს და ათავისუფლებს სამეთვალყურეო საბჭო. რეაბილიტაციის რეჟიმიდან გამომდინარე, კომპანიას დირექტორთან ერთად მართავს რეაბილიტაციის მმართველი. მათ შორის სასამართლო განჩინებით გამიჯნულია უფლებამოსილებები.

რეაბილიტაციის მმართველი პასუხისმგებელია რეაბილიტაციის გეგმის შემუშავებასა და გეგმის შედგენის პროცესის სრულ ტექნიკურ მხარდაჭერაზე. დამტკიცებული რეაბილიტაციის გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელია რეაბილიტაციის მმართველი, ხოლო კურატორობას უწევს კრედიტორთა კრება.

კომპანიაში მმართველობითი სტრუქტურა არის ვერტიკალური. კომპანიის გენერალური დირექტორი მართავს ძირითადი მიმართულებების დირექტორებს. მიმართულებების დირექტორების ქვეშ რამოდენიმესაფეხურიანი იერარქიაა.

სს „გუდვილი“ არ ფლობს წილებს კომპანიებში.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები**ფინანსური მაჩვენებლები**

2019 წლის საოპერაციო შემოსავალმა შეადგინა 143,500 ლარი, რაც 12%-ით აჭარბებს 2018 წლის ანალოგიურ მონაცემს. არსებულ ზრდაზე ერთი მხრივ მოქმედებს ფასების ზრდა, თუმცა მენეჯმენტმა ბოლო რამოდენიმე წლის განმავლობაში აქტიურად დაიწყო მუშაობა როგორც საცალო ვაჭრობაში ასევე სხვა შემოსავლის წყაროებში არსებული ზრდის პოტენციალის გამოყენებაზე, რაც აისახა კომპანიის შედეგებში.

ძირითადი კოეფიციენტები:	2019	2018
სულ შემოსავალი	143,500	128,049
სულ აქტივები	56,557	24,573
დასაქმებულთა საშუალო რიცხვი	1,616	1,343
მიმდინარე ლიკვიდურობის კოეფიციენტი	0.53	0.70
გროს მოგების მარჟა	23%	22%
მარაგების ბრუნვა (დღე)	45.63	50.6
კრედიტორების ბრუნვა (დღე)	69.83	85.19
დებიტორების ბრუნვა (დღე)	3.25	3.24

არაფინანსური მაჩვენებლები

თანამშრომლები: სს გუდვილის პერსონალის რაოდენობა წლის განმავლობაში მერყეობდა 1,506-დან 1,844-მდე. კომპანიას აქვს თავისი დასაქმების პოლიტიკა და პროცედურები რომ უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისი კვალიფიკაციის, გამოცდილებისა და უნარების მქონე კანდიდატების მოძიება და შეფასება.

2. ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები (გაგრძელება)

როგორც დამქირავებელი, სს „გუდვილი“ სთავაზობს პერსონალს განვითარებაზე ორიენტირებულ მიდგომებს და მუდმივ საკვალიფიკაციო ტრენინგებს საიმისოდ, რომ პერსონალმა უზრუნველყოს საუკეთესო მომსახურება კლიენტებისთვის. კომპანია განვითარებაზე ორიენტირებულ თანამშრომლებს აძლევს კარიერული წინსვლის და პროფესიული უნარების დახვეწის შესაძლებლობას, საქმიან სამუშაო გარემოს და კონკურენტუნარიან ხელფასს.

ურთიერთობა სახელმწიფო უწყებებთან: კომპანია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და არ ხვდება დამატებით რომელიმე სახელმწიფო უწყების რეგულირების სფეროში.

3. სუბიექტის განვითარების გეგმები

კომპანიის მთავარ მიზანს წარმოადგენს ოპერაციების და რენტაბელობის გაძლიერება, რეაბილიტაციის რეჟიმის კრედიტორებთან შეთანხმებულ და გაწერილ ვადებში დასრულება და რა თქმა უნდა ასევე ბაზარზე საკუთარი პოზიციის გამყარება და მუდმივი ზრუნვა მომსახურების ხარისხის ამაღლებაზე.

კომპანიის სამომავლო გეგმებში ძირითადი მიმართულებებია: ახალი ლოკაციების დამატება, საკუთარი წარმოების და სხვა პროდუქციის ასორტიმენტის განახლება და კონკურენტუნარიანი საფასო პოლიტიკის წარმართვა, ახალი ფორმატის მაღაზიებში შესვლა, ახალი ტექნოლოგიების დანერგვა ბიზნესის საჭიროებებიდან გამომდინარე, მათ შორის ონლაინ მაღაზიის შემდგომი განვითარება მომხმარებელთა მოთხოვნილებების შესაბამისად.

4. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

2019 წელს კომპანია არ იყო ჩართული კვლევებში და მსგავს ღონისძიებებში.

5. ინფორმაცია საკუთარი აქციების შეძენის შესახებ

2019 წელს არ მომხდარა კომპანიის მიერ საკუთარი აქციების შეძენა.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები

წლიდან წლამდე დამდგარი მნიშვნელოვანი ცვლილებები:

ფინანსური ანგარიშგების არე	2019	2018	გადახრის ახსნა
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,357	1,388	შენიშვნა 1
შემოსავალი ხელშეკრულებებიდან მომხმარებლებთან	143,500	128,049	შენიშვნა 2
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(8,433)	(7,992)	შენიშვნა 3
რეალიზაციისა და დისტრიბუციის ხარჯები	(20,027)	(19,563)	შენიშვნა 3
ფინანსური ხარჯი	(4,914)	(286)	შენიშვნა 4

შენიშვნა #1:

მოთხოვნების ზრდა გამოწვეულია ახალი კონტრაქტების გაფორმებით მარკეტინგულ, ქეითერინგულ და სხვა ტიპის მომსახურებაზე, რომელიც არ არის დაკავშირებული საქონლის რეალიზაციაზე.

შენიშვნა #2:

შემოსავლის ზრდა ძირითადად უკავშირდება მარკეტინგული, ქეითერინგული და ახალი მომსახურებების ხელშეკრულებების გაფორმებას როგორც სავაჭრო ფართის ზრდის გამო პოზიტიურ ცვლილებას, ასევე არსებულ მაღაზიებში პროდუქციის ასორტიმენტის, მომსახურების ხარისხის, წყვეტების და სხვა ძირითადი ფაქტორების გაუმჯობესებიდან მიღებულ შედეგს. ჯგუფების მიხედვით მნიშვნელოვანი ზრდა იყო შემდეგ კატეგორიებში: სიგარეტი, პური-ფუნთუშეული, ზღვის პროდუქტები და საკონდიტრო ნაწარმი.

6. წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ დამატებითი განმარტებები (გაგრძელება)

შენიშვნა #3:

ადმინისტრაციული და კომერციული ხარჯების ზრდა, ერთი მხრივ, გამოწვეულია ისეთი ხარჯების გაზრდით, რაც გარკვეული პროპორციით მიყვება საქმიანობის ზრდას და მეორეს მხრივ კი სავალუტო კურსის და სხვა ფაქტორების გამო ზოგადი ფასების ზრდით. მიმდინარე წლის განმავლობაში არ მომხადარ რაიმე ისეთი არსებითი ხარჯის გაწევა რაც კომპანიისთვის ახალია.

შენიშვნა #4:

ფინანსური ხარჯის ზრდა უკავშირდება ახალი სტანდარტის ფასს 16 პირველად გამოყენებას, რომელიც გულისხმობს მომავალში გადასახდელი საიჯარო ვალდებულებების დისკონტირებული ღირებულებებით ასახვას და შედგომში ყოველწლიურად საპროცენტო ხარჯის აღიარებას.

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

საქართველოსთან დაკავშირებული მაკროეკონომიკური და პოლიტიკური რისკები:

კომპანია ძირითადად საქმიანობს საქართველოში და მისი ბრუნვა მთლიანად მოდის საქართველოზე. შესაბამისად, კომპანიის საქმიანობის შედეგებზე, ზრდასა და განვითარებაზე საგრძნობლად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს ქვეყნის ბიზნეს გარემო და პოლიტიკური ფაქტორები. ქვემოთ ცხრილში მოცემულია ქვეყნის ძირითადი მაკროეკონომიკური პარამეტრები:

	2019	2018
მოსახლეობის რიცხოვნობა 31 დეკემბრისთვის	3,717	3,724
მშპ მიმდინარე ფასებში, მილიარდი აშშ დოლარი	17.7	17.6
მშპ ერთ სულზე (მიმდინარე ფასებში), აშშ დოლარი	4,764	4,722
მშპ-ის რეალური ზრდა, %	5,1%	4.8%
საშუალო წლიური ინფლაცია	4.9%	2.6%
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები FDI (მილიონი აშშ დოლარი)	1,310	1,306
უმუშევრობის დონე, %	11.6%	12.7%

საკრედიტო რისკების კონცენტრაცია.

კომპანიის საკრედიტო რისკები არ არის კონცენტრირებული ერთ რომელიმე კონტრაგენტზე. კომპანია მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული FMCG სექტორში არსებულ ტენდენციებზე. კომპანია კორპორატიულ კლიენტებს სთავაზობს როგორც კრედიტით გაყიდვებს ასევე საავანსო გადახდებს. შეთავაზებული პირობები დამოკიდებულია არსებულ რისკებზე და კომპანიის შესაბამის პოლიტიკაზე. კომპანიაში მოქმედი პრაქტიკით და სხვადასხვა შიდა ნორმატიული აქტებით შეთანხმებულია საკრედიტო ლიმიტების დაშვების და მართვის პოლიტიკა, რამაც უნდა უზრუნველყოს რისკების მართვა მისაღებ დონემდე ისე რომ შენარჩუნებული იყოს მოკლევადიანი და გრძელვადიანი ლიკვიდურობა და კომპანია დაცული იყოს არახელსაყრელი ეფექტისგან რისკების არაგონივრული კონცენტრირებით.

საკრედიტო რისკის მართვა. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ძირითადად წარმოიშვება მომწოდებლებთან და პროდუქციის მწარმოებლებთან სხვადასხვა მარკეტინგული მომსახურების გაწევით. ასეთ მომსახურებებზე ძირითადად შეთავაზებულია შემდგომი გადახდის პირობა 30 დან 90 დღემდე. გამომდინარე იქიდან, რომ მომსახურების მიმღები კომპანიები ძირითადად არიან კრედიტორები, რომელთა მიმართ კომპანიას გააჩნია სავაჭრო და რეაბილიტაციის ვალდებულებები, დროული მართვის გარდა საკმარისი ბერკეტები პრობლემის დროული იდენტიფიცირებისა და რეაგირებისთვის. სავაჭრო დებიტორული დავალიანება ასევე წამოიშვება ქვეიჯარებიდან, ქეითერინგული მომსახურებიდან, აგენტის საკომისიოდან და ასევე კორპორატიული გაყიდვებიდან. კომპანიას დადგენილი აქვს ლიმიტები კორპორატიული კლიენტებისთვის,

კომპანია იყენებს რეზერვების მატრიცას რომ იანგარიშოს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი (ECL) სავაჭრო მოთხოვნებსა და სახელშეკრულებო აქტივებზე. ანარიცხის განაკვეთები ეფუძნება მსგავსი გაუფასურების ინდიკატორების მქონე მოთხოვნების ერთობლიობას დაჯგუფებულს ვადაგადაცილებული დღეების მიხედვით.

სს „გუდვილი“

მმართველობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რეზერვების მატრიცა ეყრდნობა კომპანიის ისტორიული დანაკარგების განაკვეთებს, რაც კორექტირდება საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) ინფორმაციის შესაბამისად. ისტორიულ განაკვეთებს, ეკონომიკის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ECL-ს შორის უერთიერთკავშირის შეფასება მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას წარმოადგენს. კომპანიის ისტორიული საკრედიტო დანაკარგებით და ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებით შეფასებული ანარიცხები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ზარალისგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით სავალუტო რისკი არ წარმოადგენს კომპანიის მნიშვნელოვან ბიზნეს რისკ ფაქტორს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ წარმოეშება საპროცენტო განაკვეთის რისკი რადგან არ სარგებლობს სასესხო პროდუქტებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

გიორგი ხაბაშვილი
დირექტორი



7. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები (გაგრძელება)

რეზერვების მატრიცა ეყრდნობა კომპანიის ისტორიული დანაკარგების განაკვეთებს, რაც კორექტირდება საპროგნოზო (მომავალზე ორიენტირებული) ინფორმაციის შესაბამისად. ისტორიულ განაკვეთებს, ეკონომიკის საპროგნოზო მაჩვენებლებსა და ECL-ს შორის უერთიერთკავშირის შეფასება მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებას წარმოადგენს. კომპანიის ისტორიული საკრედიტო დანაკარგებით და ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზირებით შეფასებული ანარიცხები შესაძლოა განსხვავდებოდეს ფაქტიური ზარალისგან.

საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება შემცირდება საბაზრო ფაქტორების ცვლილების შედეგად. საბაზრო რისკი შეიძლება წარმოიშვას კომპანიის მიერ პროცენტიანი ან უცხოურ ვალუტაში არსებული ფინანსური ინსტრუმენტების ფლობის შედეგად. არსებობს რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის რეალური ღირებულება ან მომავალი ფინანსური ნაკადები იმერყევებს საპროცენტო განაკვეთის ცვლილების გამო (საპროცენტო რისკი) და უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვლილების გამო (სავალუტო რისკი). ხელმძღვანელობა ადგენს რისკის ზღვრებს, რომლის მიღებაც შესაძლებელია, რის მონიტორინგსაც რეგულარულად ახორციელებს. ამ მიდგომის გამოყენება არ უზრუნველყოფს ზარალის თავიდან აცილებას ამ ზღვრების მიღმა არსებული უფრო მნიშვნელოვანი საბაზრო ცვლილებების შემთხვევაში.

საბაზრო რისკებისადმი სენსიტიურობა ემყარება ერთი რომელიმე ფაქტორის ცვლილებას, ყველა დანარჩენი ფაქტორის უცვლელად დატოვებით. პრაქტიკაში ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს და გარკვეული ფაქტორების ცვლილებები შეიძლება ურთიერთდაკავშირებული იყოს - მაგალითად, საპროცენტო განაკვეთის ცვლილებები და სავალუტო კურსების ცვლილებები.

სავალუტო რისკი.

სავალუტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება იმერყევებს უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსის ცვალებადობის გამო. კომპანიას წარმოეშვება რისკები გაცვლითი კურსის ცვლილებების გამო, რომელთა ეფექტი მოცემულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებასა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

კომპანიის სავალუტო რისკი კონცენტრირებულია აშშ დოლარში, თუმცა მენეჯმენტის შეფასებით სავალუტო რისკი არ წარმოადგენს კომპანიის მნიშვნელოვან ბიზნეს რისკ ფაქტორს.

საპროცენტო განაკვეთის რისკი.

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიშობა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების პოტენციური ცვლილების გამო, რომელმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების რეალურ ღირებულებებზე. კომპანიას არ წარმოეშვება საპროცენტო განაკვეთის რისკი რადგან არ სარგებლობს სასესხო პროდუქტებით.

მმართველობის ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2020 წლის 11 დეკემბერს.

გიორგი ხაბაშვილი
დირექტორი